



საქართველოს კლიმატის ცვლილების 2024-  
2025 წლების სამოქმედო გეგმის 2025 წლის  
ანგარიში

ანგარიში ასახავს საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030  
წლის სტრატეგიის და 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმის  
შესრულების პროგრესს 2025 წლის 31 დეკემბრის  
მდგომარეობით.

## სარჩევი

<b>მოკლე შეჯამება</b> .....	<b>4</b>
<b>შესავალი</b> .....	<b>10</b>
<b>ზოგადი პროგრესი</b> .....	<b>12</b>
<b>პროგრესი ამოცანების დონეზე</b> .....	<b>13</b>
<b>პროგრესი აქტივობების დონეზე</b> .....	<b>17</b>
აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით.....	17
განხორციელების დონე აქტივობების სტატუსის მიხედვით.....	19
განხორციელების პროგრესი.....	20
განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში.....	23
განხორციელების პროგრესი უწყებების ჭრილში.....	25
<b>დეტალური პროგრესი ამოცანების მიხედვით</b> .....	<b>30</b>
<b>ენერჯის გენერაციის სექტორი</b> .....	<b>30</b>
ამოცანა 1.1. განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა.....	30
აქტივობები.....	31
აქტივობების შესრულების მდგომარეობა.....	31
ამოცანა 1.2. თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება.....	32
აქტივობები.....	33
აქტივობების შესრულების მდგომარეობა.....	33
ამოცანა 1.3. საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება.....	34
აქტივობები.....	35
აქტივობების შესრულების მდგომარეობა.....	35
ამოცანა 1.4. ენერჯეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება.....	36
აქტივობები.....	37
აქტივობების შესრულების მდგომარეობა.....	38
<b>ტრანსპორტის სექტორი</b> .....	<b>41</b>
ამოცანა 2.1. დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში.....	41
აქტივობები.....	42
აქტივობების შესრულების მდგომარეობა.....	43
ამოცანა 2.2. წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება.....	44
აქტივობები.....	44

აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	45
ამოცანა 2.3. მობილობის არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება .....	46
აქტივობები .....	48
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	49
ამოცანა 2.4. ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება .....	51
აქტივობები .....	52
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	53
<b>შენობების სექტორი .....</b>	<b>53</b>
ამოცანა 3.1. შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა .....	53
აქტივობები .....	54
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	54
ამოცანა 3.2. მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე .....	55
აქტივობები .....	56
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	57
ამოცანა 3.3. საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება .....	59
აქტივობები .....	61
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	62
ამოცანა 3.4. წყლის გაცხელებისთვის შზის ენერჯის და ენერგოეფექტური ღუმლების გამოყენების ხელშეწყობა .....	63
აქტივობები .....	64
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	65
ამოცანა 3.5. ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება .....	66
აქტივობები .....	67
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	67
<b>მრეწველობის სექტორი .....</b>	<b>68</b>
ამოცანა 4.1. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიის დონის შემცირება .....	68
აქტივობები .....	70
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	70
ამოცანა 4.2. მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება .....	70
აქტივობები .....	71
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	72
<b>სოფლის მეურნეობა .....</b>	<b>73</b>
ამოცანა 5.1. ნიადაგის და საძოვრების მდგრადი მართვა და მინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა .....	74
აქტივობები .....	74
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	71
ამოცანა 5.2. სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარება .....	75
აქტივობები .....	76
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	77

<b>ნარჩენების სექტორი .....</b>	<b>78</b>
ამოცანა 6.1. არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება .....	79
აქტივობები .....	80
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	80
ამოცანა 6.2. ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა .....	82
აქტივობები .....	83
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	80
ამოცანა 6.3. ურბანული ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება .....	85
აქტივობები .....	86
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	86
ამოცანა 6.4. მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება .....	88
აქტივობები .....	89
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	89
<b>სატყეო სექტორი .....</b>	<b>91</b>
ამოცანა 7.1. დეგრადირებული ტყის აღდგენა .....	91
აქტივობები .....	91
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	92
ამოცანა 7.2. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა .....	92
აქტივობები .....	93
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	94
ამოცანა 7.3. კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება .....	96
აქტივობები .....	98
აქტივობების შესრულების მდგომარეობა .....	99
<b>გამოწვევები და რეკომენდაციები .....</b>	<b>100</b>
<b>ზოგადი გამოწვევები .....</b>	<b>100</b>
<b>რეკომენდაციები .....</b>	<b>100</b>
<b>დანართი 1 .....</b>	<b>101</b>
<b>2025 წლის კონსოლიდირებული სტატუს ანგარიში .....</b>	<b>101</b>

## მოკლე შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის და მისი განახლებული 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმის მეორე წლიურ ანგარიშს. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას 2025 წლის განმავლობაში (2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) კლიმატის ცვლილების სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით, სხვადასხვა პასუხისმგებელი უწყებისა და ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

2021 წლიდან მოყოლებული, წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს რიგით მეხუთე წლიურ და მერვე მონიტორინგის ანგარიშს.

2024 წლის 27 მარტს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის განახლებული სამოქმედო გეგმა 2024-2025 წლებისთვის, რადგან წინა 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულდა. 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს განახლებულ (ახალ) აქტივობებს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

**სამოქმედო გეგმის პირველი წლის დასასრულს, 2024 წლის ბოლოსთვის, მისი შესრულების მაჩვენებელი 55%-ს შეადგენს. აქტივობების 22% არ დაწყებულა, ხოლო 34% უკვე სრულად განხორციელდა. განხორციელების ყველაზე მაღალი პროგრესი დაფიქსირდა მრეწველობის (100%) და ტრანსპორტის (91%) სექტორებში, რომელსაც მოსდევს სოფლის მეურნეობის (86%) და სატყეო მეურნეობის (71%) სექტორები. ენერჯის გენერაციისა და ნარჩენების სექტორებში სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელი 51% შეადგენს. ხოლო 25%-იანი შესრულების მაჩვენებლით ყველაზე დაბალ ნიშნულზე იმყოფება შენობების სექტორი. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელების თვალსაზრისით ყველაზე პრობლემურ სფეროებად რჩება შენობების, ნარჩენებისა და ენერჯის გენერაციის სექტორები.**

განხორციელების პროცესში მთავარ გამოწვევებად გამოიკვეთა ამოცანების დონეზე მონაცემების სიმწირე და/ან მათი შეგროვების პროცესის არ დაწყება, რიგი აქტივობების დაგვიანებული დაწყება დაფინანსების ნაკლებობის გამო, დონორული პროექტების შეწყვეტა, ინვესტიორების და მათი პრიორიტეტების ხშირი ცვლილება და სხვა.

რეკომენდირებულია, რომ შესაბამისმა უწყებებმა გააძლიერონ ძალისხმევა მონაცემების შეგროვების, აქტივობების დროული დაგეგმვისა და რესურსების მობილიზების მიმართულებით. ამასთანავე, აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაციის, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტთან კოორდინაციის, და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება, ისევე როგორც ახალი დონორების მოძიება.

**ენერჯის გენერაციის სექტორში, 2025 წელს, საქართველოს ჯამურ გენერაციაში განახლებადი ენერჯის წილი შეადგინა 80.2%. მათ შორის, 79.7% მოდიოდა ჰიდროელექტროსადგურებზე, ხოლო 0.5% - ქარის ელექტროსადგურზე. გამომუშავების 19.8% ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებმა უზრუნველყვეს. ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი გაზრდილია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით.**

2025 წელს, აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელმა გადააჭარბა 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს და 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის 92.2%-ს მიაღწია. ამასთან სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით უცვლელ, 44%-იან მაჩვენებელზე დარჩა თბოსადგურებში ელექტროენერჯის გამოუმუშავების ეფექტიანობა, ისევე როგორც დაბალ 0.44%-ზე დარჩა საქართველოს ენერჯის სისტემის დადგმულ სიმძლავრეში განახლებადი ენერჯის (ქარის და მზის სადგურების) წილი, რაც იმას უკავშირდება, რომ, ისევე როგორც 2023 წელს, დაგეგმილი განახლებადი ენერჯეტიკის გენერაციის ინფრასტრუქტურული პროექტები იმყოფება განვითარების სხვადასხვა, ხშირად საწყის, ეტაპზე.

2025 წლის მდგომარეობით, ენერჯის გენერაციის სექტორში აქტივობების განხორციელების დონემ 30% შეადგინა.. გადაჭარბებით შესრულდა შესაბამისი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, თუმცა არ დაწყებულა ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა, ასევე გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურისა და ენერჯის შემნახველი ბატარეის სისტემის მშენებლობა. ნაწილობრივ განხორციელდა ელექტროგადამცემი ხაზებისა და სხვადასხვა სიმძლავრის ქვესადგურების მშენებლობა/რეაბილიტაცია.

დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფოს ენერჯეტიკული პოლიტიკა და მისი დანართი - ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა. საქართველოს პარლამენტმა ასევე დაამტკიცა ცვლილებები „ენერჯეტიკის შესახებ“ და „შენობების ენერჯეტიკის შესახებ“ კანონებში.

დამტკიცდა ენერჯეტიკის შესახებ კანონის 14 რეგლამენტი. ამასთან, დაიწყო მუშაობა მწვანე წყალბადის სტრატეგიის, მისი განხორციელების სამოქმედო გეგმისა და გზამკვლევის, ასევე საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

**ტრანსპორტის სექტორში,** 2025 წელს, წინა წლების მსგავსად, გაგრძელდა გაუმჯობესების ტენდენცია ავტოპარკში დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე, ასევე ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის ზრდის მიმართულებით. კერძოდ, 2025 წლის ბოლოსთვის ელექტრომობილების წილი ავტოპარკში გაიზარდა წინა წლებთან შედარებით და 0.6%-ს შეადგენს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ 0.6% მხოლოდ 2022 წლის სამიზნე მაჩვენებელს უტოლდება და ჩამორჩება 2024 წლის სამიზნე მაჩვენებელს (1%), ხოლო 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (ავტოპარკში 5%-იანი წილი) მხოლოდ 10%-ს შეადგენს. შესაბამისად, პროგრესის არსებული ტემპი კვლავ ქმნის რისკს, რომ საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

მცირედით გაუმჯობესდა მაჩვენებელი ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაშიც. მათი წილი ავტოპარკში 2022 წელს შეადგენდა 7.26%-ს, 2023 წელს — 8.7%-ს, ხოლო 2024 წელს მიაღწია 9.2%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი აჭარბებს 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს (6.7%) და წარმოადგენს 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (20%) 46%-ს, რაც უფრო რეალისტურს ხდის 2030 წლისთვის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის მიღწევას.

ტრანსპორტის სექტორში ასევე გაგრძელდა, თუმცა წინა წლებთან შედარებით უფრო მცირე მასშტაბით, პირველად ტექნიკურ ინსპექტირებაზე დახარჯვებულ ავტომობილების პროცენტული წილის გაუმჯობესება, რომელიც 2023 წელს იყო 23.8%-ს, ხოლო 2024-2025 წლებში კიდევ შემცირდა 23.3%-მდე. როგორც წინა ანგარიშშიც აღინიშნა, ეს შედეგი აღემატება არა მხოლოდ 2022 და 2024 წლების საშუალოვადიან მაჩვენებლებს, არამედ 2030 წლის სამიზნე მაჩვენებელსაც და ამჯერად ამ უკანასკნელის 123%-იან შესრულებას ნიშნავს. აღნიშნული მიუთითებს პირველად ტექნიკურ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი ავტომობილების ტექნიკური გამართულობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ამ ამოცანის ჩრილში დაგეგმილი აქტივობებიც, კერძოდ მუნიციპალიტეტების მიერ შეძენილი კამერების შსს-ს ერთიან ქსელში ჩართვა და ავტომობილის გამონაბოლქვის საზომი სავლელე მოწყობილობით აღჭურვილი ეკიპაჟების დამატება, სრულად ან მეტწილად განხორციელდა. თუმცა ელექტრომობილების გამოყენების წახალისების მიზნით დამატებითი ღონისძიებების ანალიზი არ განხორციელებულა.

2024 წლის მსგავსად, ელექტრომობილების წილის ზრდის დაბალი ტემპისა და წიაღისეულ საწვავზე კვლავ მაღალი დამოკიდებულების გამო, 2025 წელს ენერჯის საბოლოო მოხმარებაში ყველა სახის ტრანსპორტის მიერ მოხმარებული განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი უცვლელი დარჩა და 1% შეადგინა. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ბიოდიზელის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ მონაცემთა ბაზა განახლდა, თუმცა ბიოდიზელის წარმოების კონკრეტული პროექტები არ დაწყებულა ან განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება.

წინა წელთან შედარებით, დედაქალაქში არამოტორიზებული ტრანსპორტით (ველოსიპედით და ფეხით) გადაადგილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის წილი მცირედით გაუმჯობესდა და შეადგინა, შესაბამისად, 12% და 25%. თუმცა ეს მაჩვენებლები საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის მხოლოდ 34% და 45%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ ქალაქში ველობილიკების მოწყობისა და მულტიმოდალური სქემების დანერგვის მიმდინარე სამუშაოების პარალელურად აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

2025 წელს თბილისში სამი ახალი ქუჩის დიზაინი განახლდა მულტიმოდალური დაგეგმარების პრინციპების შესაბამისად, ხოლო ერთ ქუჩაზე მოეწყო ახალი ველობილიკი. ასევე ამოქმედდა ერთი საბაგრო ხაზი. დედაქალაქში დამონტაჟებულია 81 ერთეული გონიერი შუქნიშანი, რომელიც უზრუნველყოფს არამოტორიზებული გადაადგილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტიზაციას, და ექსპლუატაციაში შევიდა 83 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი.

ამ სექტორში გამოწვევად რჩება ის ფაქტი, რომ არ დაწყებულა ბათუმში ზონალურ-საათობრივი პარკირების დანერგვა სამ ლოკაციაზე, ორი ახალი ველობილიკის მოწყობა და მდგრადი ტრანსპორტის ხელშემწყობი ხუთი საპილოტე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთანავე, ემისიების შემცირების მიმართულებით ტრანსპორტის სექტორში დამატებითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივები არ განხორციელებულა.

საბოლოო ჯამში, ტრანსპორტის სექტორში სამოქმედო გეგმის განხორციელების დონემ 44% შეადგინა.

### **შენობების სექტორში,**

2025 წელს მდგომარეობა ძირითადად 2024 წლის დონეზე დარჩა. კანონის შესაბამისად, სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ყოველი ახალი აშენებული შენობის პროცენტული წილი, რომელიც ენერგოეფექტურობაზეა სერტიფიცირებული, 2025 წელს, ისევე როგორც 2024 წელს, 0%-ს შეადგენდა, რადგან ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესის დამტკიცება ჯერ არ მომხდარა.

ამასთან, კვლავ შეინიშნება პროგრესი 500 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის საჯარო შენობების რეესტრის შექმნის მიმართულებით.

არ შეცვლილა ამოცანა 3.3.1-ის მაჩვენებელიც - ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობის მიერ დაკავებული და მფლობელობაში არსებული 500 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის შენობების რაოდენობა, რომელთა საერთო ფართობის 1% ყოველწლიურად უნდა განახლდეს ენერგოეფექტურობის სტანდარტების შესაბამისად. ასევე უცვლელი დარჩა ამოცანა 3.3.2-ის მაჩვენებელი - საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების პროცენტული წილი, რომლებიც ენერგოეფექტურ ნათურებს იყენებენ, რადგან შესაბამისი აქტივობების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

შენობების სექტორში სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი მხოლოდ 25%-ს შეადგენს. აქტივობების 50% არ დაწყებულა, 37% კვლავ მიმდინარეობს და ნაწილობრივ არის შესრულებული, ხოლო მხოლოდ 13% სრულად განხორციელდა. განხორციელების ყველაზე დაბალი, ნულოვანი პროგრესი დაფიქსირდა შემდეგი ამოცანების ფარგლებში: ამოცანა 3.3 - საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება, და ამოცანა 3.5 - ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება. თუმცა ამ მიმართულებით მომზადებულია ტრენინგპროგრამების პროექტი.

დაგეგმილი აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ცნობიერებისა და ქცევის ცვლილებას ენერგოეფექტური მოწყობილობების გამოყენების მიმართულებით, ფერხდება იმის გამო, რომ ჯერ არ დანერგილა რიგი სავალდებულო რეგულაციები. მაგალითად, ენერგოეტიკტირების ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცება და ამოქმედება დაგეგმილია 2025 წლის 31 დეკემბრიდან.

მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიები „ვარვარა“ ნათურებისა და მზის ენერჯის გამოყენებით წყლის გაცხელების შესახებ. ამასთან, ვინაიდან ცნობიერების დონის გაუმჯობესების შესახებ მონაცემები კვლავ არ არის ხელმისაწვდომი, მათი ეფექტიანობა შესაბამისი კვლევებით არ გაზომილა.

დადებით მხარეებს შორის აღსანიშნავია, რომ განხორციელდა მრავალკომპონენტური საინფორმაციო კამპანია ენერგოეფექტური ღუმელებისა და დამხმარე ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების შესახებ. ასევე, 2024 წლის ბოლო კვარტალში ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად დამტკიცდა ენერგოეტიკტირების 14 სქემა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკისთვის.

**მრეწველობის სექტორში,** 2023 წლის შემდეგ ზოგიერთი მონაცემი არ განახლებულა. 2023 წლის მდგომარეობით, საქართველოში ცემენტის წარმოებიდან სათბურის აირების გაფრქვევის დონე დაახლოებით 852.11 კტ CO<sub>2</sub>-ის ეკვივალენტს შეადგენდა, ხოლო ქიმიური მრეწველობის (აზოტის) სექტორიდან სათბურის აირების გაფრქვევის დონე - 2305.99 კტ CO<sub>2</sub>-ის ეკვივალენტს.

თუმცა 2025 წელს, მრეწველობის სექტორში სამოქმედო გეგმა განხორციელდა 100%-ით. კერძოდ, მებუთეეროვნული შეტყობინების მომზადების პროცესში განხორციელდა სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოხდა სამრეწველო სექტორის ორი წყარო კატეგორიისთვის - სამედიცინო და საკვები მასალების ინდუსტრიისთვის - ემისიების შეფასების ახალი მეთოდოლოგია დაინერგა. ასევე დაიწყო აზოტმჟავის სრული მოცულობის (100%) ახალი აღჭურვილობით წარმოება. შესრულდა ვალდებულება, რომლის მიხედვითაც 2025 წლის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია ორი ელექტროენერჯის ოპერატორის მიერ მოხმარებული ელექტროგაზების რაოდენობის შესახებ 2021 და 2022 წლებისთვის.

**სოფლის მეურნეობის სექტორში**, სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი 70%-ს შეადგენს.

2022–2023 წლებთან შედარებით, 2025 წელს დაფიქსირდა მნიშვნელოვანი პროგრესი მსხვილფეხა პირუტყვის ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების მიმართულებით, კერძოდ — მსხვილფეხა შინაური რქოსანი პირუტყვისთვის საკვების შეცვლის მეთოდოლოგიის შემუშავების კუთხით. ჩატარდა შესაბამისი ცდები 9 საკვებ დანამატზე და გაანალიზდა მიღებული შედეგები. ასევე დაიწყო მცოხნავი ცხოველებისთვის ახალი ტიპის საკვების რეცეპტის შემუშავება და მათი მიწოდების დოზების განსაზღვრა; ჩატარდა შესაბამისი ცდები და სავლელე კვლევები.

ამასთან, საძოვრების პროდუქტიულობის გაზრდისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით, შესაბამისი კანონპროექტი სამუშაო ჯგუფის ფორმატში შეთანხმდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. 2024–2025 წლებში ინვენტარიზებულ იქნა 2,684.57 ჰა ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები.

ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზსა და სხვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლიმატგონივრული ინიციატივების ფარგლებში აღსანიშნავია, რომ 6 ფერმაში დაიწყო კვლევები ნაკელის მართვის მიმართულებით, კერძოდ — ნაკელის საცავებისა და მდგრადი მართვის სადემონსტრაციო ობიექტების მოწყობის მიზნით. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2024–2025 წლებში იჯარით გაიცა 9,395 ჰა საძოვარი. სრულად განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სულ მცირე ორი სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა საფარი კულტურებისა და სიღერატების გამოსაცდელად.

ასევე შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 9 ახალი მეტეოროლოგიური სადგური და ერთი სხვადასხვა მავნე მწერის დისტანციური მონიტორინგის სისტემა.

**ნარჩენების მართვის სექტორში** 2025 წელს მონაცემები არ განახლებულა ამოცანის შედეგის შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: 6.1.1 — ნაგავსაყრელებიდან ემისიების რაოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.), 6.2.1 — ნარჩენების გადამუშავების შედეგად შემცირებული ემისიების რაოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.) და 6.3.1 — ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან შემცირებული ემისიების ოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.).

ნარჩენების მართვის სექტორში სამოქმედო გეგმის განხორციელების დონემ 33% შეადგინა. 2025 წელს დახურულია ერთი ნაგავსაყრელი (თიანეთში) და მიმდინარეობდა მისი დახურვის პროცესის შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ასევე მიმდინარეობდა რუსთავის ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოები.

ჩატარდა არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და შესაბამისი ნარჩენების მართვის გეგმები მომზადდა 63 მუნიციპალიტეტში. ამ ეტაპზე დახურულია ან დასუფთავებულია სამი სტიქიური ნაგავსაყრელი (20%).

მიმდინარეობდა ერთი ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და ერთი — ქვემო ქართლის რეგიონში. ასევე მიმდინარეობდა ორი ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობის სატენდერო პროცედურები. ქ. თბილისის ნაგავსაყრელი გაფართოვდა და აირების შემკრები სისტემის მოწყობა მეტწილად შესრულდა.

დასრულდა ოთხი ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა - აბასთუმანში, ფოთში, გუდაურსა და მარნეულში. თუმცა არ დაწყებულია ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემების მოწყობა თბილისში და ბათუმში.

ამასთან, თბილისისა და ბათუმის გარდა ნარჩენების სეპარირება ნაწილობრივ დაწყებულია ქუთაისში, ზუგდიდსა და სენაკში. 2025 წლის განმავლობაში ქ. ქუთაისში მიღებულ იქნა 50 ტონა მზა კომპოსტი.

**სატყეო სექტორში**, 2025 წელს, სატყეო სექტორში სამოქმედო გეგმა სრულად განხორციელდა, ხოლო აქტივობების 90% მეტწილად ან ნაწილობრივ შესრულდა. ამ წელს განხორციელდა ტყის მოვლის, აღდგენა-გაშენების ღონისძიებები 3934.6 ჰა ფართობზე. შედარებისთვის, აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს შეადგენდა 1714.6 ჰა-ს, ხოლო 2022 წელს — 783 ჰა-ს. 2024 წელს ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები განხორციელდა 2220.6 ჰა ფართობზე.

მდგრადი მართვის პრინციპებით მართული ტყის ფართობმა 2024 წელს 356,840 ჰა შეადგინა. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის 48.9% ფართობზე შემუშავებულია ან მუშავდება ტყის მართვის გეგმები, სულ 19 სატყეო უბნისთვის.

ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები ნაწილობრივ განხორციელდა ოთხი სატყეო უბნის ტერიტორიაზე, ხოლო ტყის მართვის გეგმები შემუშავებულია ოთხი უბნისთვის, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა. შემუშავდა ტყის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის სამი მოდული.

2024–2025 წლებში მუდმივი სანიმუშო ფართობები აღებულია 24 სატყეო უბნის ტერიტორიაზე. 42 სატყეო უბნისთვის შემუშავდა ტყის ხანძრების მართვის გეგმა და ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობს სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

2025 წლის მდგომარეობით, ზურმუხტის ქსელში მოქცეული ტყის ტერიტორიის 325,112 ჰა-ზე შემუშავებულია ზურმუხტის ტერიტორიების მართვის გეგმები, რაც ფართობით 2030 წლის სამიზნე მაჩვენებელს 31 პროცენტული პუნქტით აღემატება. ასევე შემუშავდა და დამტკიცდა „გურიის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორის 7.3.2 — დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების პროცენტული წილი, რომლებშიც ინტეგრირებულია კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები — შესრულების მაჩვენებელი გახდა 100%.

ჩატარდა ეროვნული სატყეო პროგრამის ოთხი შეხვედრა და აღნიშნული ინდიკატორი სრულად შესრულდა. ასევე შემუშავდა და დამტკიცდა მეთოდური მითითებები ტყის მართვის გეგმების შეფასებისა და მათში გენდერული საკითხების ინტეგრირების მიზნით. ამასთან, ამოცანის შედეგის ინდიკატორი 7.3.3 — ტყის მდგრადი მართვის გეგმების რაოდენობა, რომლებიც გენდერულად სენსიტიურია — კვლავ 0-ზე დარჩა.

## შესავალი

წინამდებარე წლიური მონიტორინგის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საქართველოს მთავრობის მიერ 2021 წლის 8 აპრილის N167 დამტკიცებული საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის და განახლებული 2024 – 2025 წლების სამოქმედო გეგმის” 2025 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით განხორციელების მდგომარეობის თაობაზე.

კლიმატის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ (CSAP) არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) პარიზის შეთანხმების ფარგლებში „საქართველოს განახლებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტში (NDC) სათბურის აირების ემისიების შემცირების გრძელვადიან ხედვას 2030 წლისთვის.

დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით და მოიცავს კლიმატის ცვლილების შერბილების აქტივობებს შვიდ სექტორში:

1. ენერჯის გენერაცია და გადაცემა;
2. ენერჯის მოხმარება სატრანსპორტო სექტორში;
3. ენერჯის მოხმარება შენობებში;
4. ენერჯის მოხმარება მრეწველობაში და სამრეწველო პროცესები;
5. სოფლის მეურნეობა;
6. ნარჩენების მართვა და
7. სატყეო მეურნეობა.

შვიდივე სექტორში სათბური აირების ემისიების შემცირებისათვის, სტრატეგიით განსაზღვრულია 7 მიზანი:

1. 2030 წლისთვის, ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში, სათბურის აირების ემისიების, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, 15%-ით შემცირება;
2. 2030 წლისთვის, ტრანსპორტის სექტორში, სათბურის აირების ემისიების, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, 15%-ით შემცირება;
3. შენობების სექტორში დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით;
4. 2030 წლისთვის, საბაზისო სცენარით გათვალისწინებულ პროგნოზებთან შედარებით, სათბურის აირების ემისიების 5%-ით შესამცირებლად, მრეწველობის სექტორის დაბალნახშირბადიანი მიდგომების განვითარების ხელშეწყობა, კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით;
5. სოფლის მეურნეობის სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით;

6. ნარჩენების სექტორის დაბალნახშირბადიანი განვითარების ხელშეწყობა კლიმატგონივრული და ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების წახალისებით;
7. 2030 წლისთვის, სატყეო სექტორის მიერ ნახშირბადის შთანთქმის შესაძლებლობის, 2015 წელს დაფიქსირებულ დონესთან შედარებით, 10%-ით გაზრდა.

სტრატეგიით განსაზღვრულია სულ 24 ამოცანა.

### სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანები

#### ენერჯის გენერაციის სექტორში:

1. განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა.
2. თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება.
3. საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება
4. ენერჯეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება.

#### ტრანსპორტის სექტორში:

1. ავტოპარკში დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა.
2. წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება.
3. მობილობის არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება.
4. ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება.

#### შენობების სექტორში:

1. შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა.
2. მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე.
3. საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების, შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება.
4. წყლის გაცხელებისთვის მზის ენერჯის და ენერგოეფექტური დუმლების გამოყენების ხელშეწყობა.
5. ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება.

#### მრეწველობის სექტორში:

1. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიების დონის შემცირება.
2. მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება.

სოფლის მეურნეობის სექტორში:

1. ნიადაგის და საძოვრების მდგრადი მართვა და შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა.
2. სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარება.

ნარჩენების სექტორში:

1. არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირების ემისიების შემცირება.
2. ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა.
3. ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება.
4. მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება.

სატყეო სექტორში:

1. დეგრადირებული ტყის აღდგენა.
2. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა.
3. კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება.

წლიური ანგარიში შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლიმატის ცვლილების სამმართველოს კოორდინირებით პასუხისმგებელი უწყებებისგან მიღებული სტატუს ანგარიშების საფუძველზე, მონაცემები შეგროვდა კლიმატის ცვლილების მონაცემთა მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით, რომელიც შემუშავდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კავკასიის გარემოსდაცვითი რეგიონული ცენტრის (REC Caucasus) თანამშრომლობით.

წარმოდგენილი წლიური ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრულ პროგრეს ანგარიშის შემუშავების მოთხოვნებთან.

## ზოგადი პროგრესი

წინამდებარე ანგარიში ასახავს აქტივობების განხორციელების და ამოცანების შესრულების მხრივ მდგომარეობას 2024 წლის 1-ლი იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. ის მიმოიხილავს იმას, თუ რამდენად განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები პასუხისმგებელი უწყებების მიერ და აანალიზებს ამ აქტივობების შედეგად კლიმატის ცვლილების 7

სექტორში სტრატეგიით დასახული ამოცანების შესრულებას. ანგარიში არ შეეხება სტრატეგიის მიზნებისა და გავლენის მიდწევის ანალიზს, რომელიც შეფასების და არა მონიტორინგის საგანია.

### პროგრესი ამოცანების დონეზე

**2024 წელს შემდეგი 8 ამოცანის 10 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შემთხვევაში დაფიქსირდა პროგრესი გეგმის მიხედვით, რადგან 2025 წლის მონაცემებმა 2024 წლის სამიზნე მაჩვენებელს მიაღწია/გადააჭარბა:**

- 1.1.1. განახლებადი ენერჯის წილი საქართველოს ელექტროენერჯის წარმოებაში;
- 1.4.1. ენერჯეტიკის სფეროში შემუშავებული, დაინტერესებულ მხარეებთან განხილული და შეთანხმებული, ინიცირებული ახალი პოლიტიკის დოკუმენტების, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების რაოდენობა;
- 2.1.2. ჰიბრიდული ავტომობილების წილი საქართველოში რეგისტრირებულ ავტოპარკში;
- 2.1.3. პირველად ტექნიკურ ინსპექტირებაზე დახარჯებული ავტომობილების პროცენტული წილი;
- 4.1.1. ცემენტის წარმოებიდან ემისიების ოდენობა (კტ CO<sub>2</sub> ეკვ.);
- 4.1.2. ქიმიური მრეწველობიდან ემისიების ოდენობა (კტ CO<sub>2</sub> ეკვ.);
- 4.2.1. მრეწველობის რაოდენობა, რომელშიც შესწავლილია სპეციფიკური ემისიების ფაქტორები;
- 7.2.1. მდგრადი მართვის პრინციპებით მართული ტყის ფართობი ჰექტარში;
- 7.3.1. სატყეო საკითხებთან დაკავშირებული უწყებათშორისი კოორდინაციის გზით შექმნილი და სექტორთაშორისი პროექტების რაოდენობა;
- 7.3.2. დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების პროცენტული წილი, რომელშიც ინტეგრირებულია კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები;

**ამათგან შემდეგი 1 ინდიკატორის მხრივ პროგრესი დაფიქსირდა 2024-2025 წლებში, მაგრამ არ იყო 2023 წელს, რადგან არსებული მაჩვენებელი გაუტოლდა/გადააჭარბა 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს:**

- 7.3.2. დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების პროცენტული წილი, რომელშიც ინტეგრირებულია კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები.

**შემდეგი 17 ამოცანის 21 ამოცანის შედეგის ინდიკატორის შემთხვევაში 2024-025 წლის მონაცემები ჩამორჩება გეგმას - 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებლებს:**

- 1.2.1. თბოსადგურებში ელექტროენერჯის გამომუშავების ეფექტიანობის მაჩვენებელი;
- 1.3.1. საქართველოს ენერჯოსისტემის დადგმულ სიმძლავრეში განახლებადი ენერჯის (ქარის და მზის სადგურების) წილი;
- 2.1.1. ელექტრომობილების წილი საქართველოში რეგისტრირებულ ავტოპარკში;
- 2.2.1. საქართველოს ტერიტორიაზე ენერჯის საბოლოო მოხმარებაში ყველა სახეობის ტრანსპორტის მიერ მოხმარებული განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი;
- 2.3.1. თბილისში მგზავრობის პროცენტული წილი, რომელიც არამოტორიზებული ტრანსპორტით (ველოსიპედი და ფეხით სიარული) ხორციელდება;

- 2.3.2. თბილისში მგზავრობის პროცენტული წილი, რომელიც საზოგადოებრივი (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი) ტრანსპორტით ხორციელდება;
- 2.4.1. ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირების მტკიცებულებებზე დაფუძნებული დამატებითი ინიციატივების რაოდენობა;
- 3.1.1. კანონის შესაბამისად, სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ყოველი ახალი აშენებული შენობის პროცენტული წილი, რომელიც ენერგოეფექტურობაზეა სერტიფიცირებული;
- 3.3.1. ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობის მიერ დაკავებული და მფლობელობაში არსებული 500 მ2-ზე მეტი ფართობის შენობების რაოდენობა, რომელთა სრული ფართობის 1% განახლებულია ყოველწლიურად ენერგოეფექტურობის სტანდარტების მიხედვით;
- 3.5.1. შენობების გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემებისა და ელექტრო მოწყობილობების ენერგოეფექტურობის საკითხებში სერტიფიცირებული და დიპლომირებული სპეციალისტების ჯამური პროცენტული რაოდენობა;
- 5.1.1. ექსტენციის ცენტრებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინფორმირებულ ფერმერებს შორის მათი პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ გაუმჯობესებული ინფორმაცია შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკის და ნიადაგის მდგრადი მართვის შესახებ;
- 5.2.1. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე და სხვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლიმატგონივრული ტექნოლოგიებისა და/ან ინიციატივების წილი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო და დონორების პროგრამებში;
- 6.4.1. ნარჩენების მართვის შესახებ ანგარიშების პროცენტული წილი, რომელიც ეყრდნობა მონაცემებს;
- 6.3.1. ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან შემცირებული ემისიების ოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.);
- 7.1.1. ტყის ფართობი ჰექტარში, რომელზეც განხორციელდა აღდგენითი სამუშაო;
- 7.3.3. ტყის მდგრადი მართვის გეგმების რაოდენობა, რომელიც გენდერულად სენსიტიურია;

**ამათგან შემდეგი 3 ინდიკატორის შემთხვევაში, 2023 წელს იყო პროგრესი, მაგრამ 2024-2025 წლებში აღარ დაფიქსირებულა, რადგან 2024 წლის მაჩვენებლები ჩამორჩა 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებლებს:**

- 2.4.1. ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირების მტკიცებულებებზე დაფუძნებული დამატებითი ინიციატივების რაოდენობა;
- 5.2.1. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე და სხვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლიმატგონივრული ტექნოლოგიებისა და/ან ინიციატივების წილი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო და დონორების პროგრამებში;
- 6.4.1. ნარჩენების მართვის შესახებ ანგარიშების პროცენტული წილი, რომელიც ეყრდნობა მონაცემებს;

**მათ შორის არის ისეთი ამოცანის შედეგების ინდიკატორები, რომელთა თაობაზე გამოიკვეთა მონაცემების არარსებობა, შესაბამისად, არ დაფიქსირებულა პროგრესი:**


- 3.2.1. იმ მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომლებიც შენობებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ენერგოეფექტურობას ასახელებენ სამომხმარებლო გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ფაქტორად;
- 3.3.2. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების პროცენტული წილი, რომლებიც ენერგოეფექტურ ნათურებს იყენებს;
- 3.4.1. წახალისების ღონისძიებების ამოქმედების შემდეგ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ინდივიდუალურ საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში წყლის გასათბობად შეძენილ სისტემებში მზის წყალგამაცხელებელი სისტემების პროცენტული მაჩვენებელი;
- 6.1.1. ნაგავსაყრელებიდან ემისიების რაოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.);
- 6.2.1. ნარჩენების გადამუშავების შედეგად შემცირებული ემისიების რაოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.);

ცხრილი 1: ამოცანის შედეგების ინდიკატორების პროგრესი

მონაცემთა წერტილი	თარიღი	1.1	1.2	1.3	1.4	2.1			2.2	2.3		2.4	3.1	3.2	3.3		3.4	3.5	4.1		4.2	5.1	5.2	6.1	6.2	6.3	6.4	7.1	7.2	7.3				
		განახლებადი ენერჯია	თბოელ ექტროსადგურები	გადაამტკესელმი ემ განახლებადი ენერჯია	პოლიტიკის დოკუმენტი	ემისიანი და გამართული ავტომობილები	დაბალ ტექნიკურად	ტრანსპორტის მონმარება	არამოტორიზებული მოხარება	არამოტორიზებული მოხარება	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	ინიციატივები	ტრასპორტის სექტორში	შენიშვნები	მომხმარებელი	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა	ენერჯიკონომიკა
საბაზისო მაჩვენებელი		2018 - 78%	2018 - 44%	2019 - 0.5%	2020 - 7	2019 - 0.14%	2019 - 4.91%	2019 - 55%	2018 - 2%	2016 - 27.15%	2016 - 39%	2020 - 0	2020 - 0%	2020 - 0%	2020 - 0%	2020 - 0%	2020 - 0%	2020 - 0%	2020 - 0%	2020 - 968	2020 - 2547	2020 - 0	2020 - 0%	-	2020 - 1,091	2020 - 0	2020 - 0	2020 - 0	2019 - 190	2019 - 0	2020 - 10	2020 - 0%	2020 - 0	
საშუალოვადიანი სამიზნე	2022	72%	45%	0.6%	9	0.5%	5.5%	54%	3%	30%	40%	1	100%	40%	10%	20%	10%	0%	1083	2919	1	50%	10%	1,063	10	<150	50%	890	150,807	20	>65%	15%		
	2024	76%	48%	7.1%	12	1%	6.7%	50%	4%	32%	41%	2	100%	55%	30%	30%	20%	30%	2023 - 1139	2023 - 3105	2	50%	30%	1,056	40	-	70%	2090	300,000	25	>80%	30%		
	2026	82%	48%	12.2%	20	2%	9.8%	45%	6%	33%	42%	3	100%	60%	50%	40%	30%	60%	-	-	3	50%	40%	908	100	>300	80%	2690	350,000	28	>85%	40%		
	2028	85%	49%	10.6%	26	3%	15%	40%	8%	34%	43%	4	100%	70%	70%	60%	50%	80%	-	-	4	50%	50%	822	130	>400	90%	3290	402,000	30	>90%	50%		
საბოლოო სამიზნე	2030	87%	50%-ზე მეტი	18.2%	30-ზე მეტი	5%	20%	30%	10%	35%	45%	5	100%	80%	>90%	>70%	60%	100%	-	-	5	50%	60%	840	>150	>500	100%	<4000	450,000	>30	100%	>50%		
2022 წლის მაჩვენებელი		72%	44%	0.5%	22	0.24%	7.26%	35.85%	1%	7%	20%	1	0%	უცნობია	0%	უცნობია	0%	0%	852.11	2305.99	1	0%	10%	უცნობია	უცნობია	უცნობია	50%	783	266,177	20	42%	0		
2025 წლის მაჩვენებელი		80.2%	44%	0.44%	26	0.5%	9.2%	23.3%	1%	12%	25%	1	0%	უცნობია	1%	უცნობია	0%	0%	852.11 (2023)	2305.99 (2023)	2	25%	10%	უცნობია	უცნობია	უცნობია	50%	3934.6	356,840	20	100%	0		
საშუალოვადიანი მიზნის მიღწევა (2025წ)		105.5%	91.6%	6.19%	216%	50%	137.3%	153.4%	25%	37.5%	60.9%	50%	0%	0%	3.33%	0%	0%	0%	125%	123.5%	100%	50%	33.33%	0%	0%	0%	71.4%	188.2%	119%	80%	125%	0%		
საბოლოო მიზნის მიღწევა (2030წ)		92.18%	88%	2.42%	86.6%	10%	46%	123%	10%	34.29%	55.56%	20%	0%	0%	1.11%	0%	0%	0%	125%	123.5%	40%	50%	16.67%	0%	0%	0%	50%	98.37%	79.3%	66.6%	100%	0%		
ცემის შესრულება		V	X	X	V	X	V	V	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	V	V	V	X	X	X	X	X	X	V	V	X	V	X	

## ამოცანის შედეგების ინდიკატორების შესრულება საშუალოვადიან და საბოლოო სამიზნე მაჩვენებლებთან მიმართებით (%)


■ 2024 წლის სამიზნის პროცენტი ■ 2020 წლის სამიზნის პროცენტი




### პროგრესი აქტივობების დონეზე

აქტივობების განხორციელების დონე მათი სტატუსების მიხედვით

საერთო ჯამში 75 აქტივობიდან, 2025 წლის 31 დეკემბრისთვის სრულად განხორციელდა 26 აქტივობა (34%), 20 აქტივობა განხორციელდა ნაწილობრივ (27%), მეტწილად განხორციელდა 12 აქტივობა (16%), ხოლო არ დაწყებულა 17 აქტივობა (23%). ამდენად, **სამოქმედო გეგმის აქტივობების მესამედი სრულად განხორციელდა, ხოლო 38% განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა.**




2025 წლის ბოლოსთვის, **სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებელია 55%**. აქტივობების 23% არ დაწყებულა, ხოლო 34% უკვე სრულად განხორციელდა.



განხორციელების დონე აქტივობების სტატუსის მიხედვით


სამოქმედო გეგმის განხორციელების დონე აქტივობების სტატუსების (მდგომარეობის) ჭრილში აჩვენებს, რომ განხორციელების ტემპი განსხვავებულად წარიმართა სხვადასხვა სექტორში. ყველაზე მეტი წილი აქტივობებისა, რომლებიც სრულად განხორციელდა, გვხვდება მრეწველობისა (100%) და სოფლის მეურნეობის (70%) სექტორებში. ყველაზე მეტი წილი აქტივობებისა, რომლებიც მეტწილად განხორციელდა, გვხვდება ნარჩენების მართვის სექტორში (33%) და სატყეო მეურნეობის სექტორში (30%), ხოლო ენერჯის გენერაციის/გადაცემის, შენობებისა და სატყეო მეურნეობის სექტორებზე მოდის ყველაზე მაღალი წილი ნაწილობრივ განხორციელებული აქტივობებისა (44%, 31% და 30%, შესაბამისად). შენობების და ტრანსპორტის სექტორებში გვხვდება ყველაზე მეტი წილი არ დაწყებული აქტივობებისა (50% და 27%, შესაბამისად). მათ მოსდევს ნარჩენების მართვის (19%), ენერჯის გენერაციის/გადაცემის (11%) და სატყეო მეურნეობის (10%) სექტორები. მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სექტორებში არ არის არ დაწყებული აქტივობები - ისინი ან განხორციელდა, ან შესრულების სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან. ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან იკვეთება, რომ ნარჩენების მართვის სექტორში დაგეგმილი აქტივობების 38% ახლოსაა დასრულებასთან (მეტწილად განხორციელებულია), ხოლო სატყეო მეურნეობის სექტორში აქტივობების 30% მეტწილად განხორციელებულია.




### განხორციელების პროგრესი

განხორციელების ყველაზე მაღალი პროგრესი დაფიქსირდა მრეწველობის (100%) სექტორში და ტრანსპორტის (67%) სექტორში, რომელსაც მოსდეს სოფლის მეურნეობის (86%) და სატყეო მეურნეობის (71%) სექტორები. 51%-ით განხორციელდა სამოქმედო გეგმა ენერჯის განვითარებისა და ნარჩენების მართვის სექტორებში და 25%-იანი შესრულების მაჩვენებლით ყველაზე დაბალ ნიშნულზე იმყოფება შენობების

სექტორი. ამდენად, ყველაზე პრობლემატური სფეროები სამოქმედო გეგმის განხორციელების თვალსაზრისით არის შენობების, ნარჩენების მართვის და ენერჯის გენერაციის სექტორები.






აღსანიშნავია, რომ 2021 წელთან შედარებით, ენერჯის გენერაციის სექტორში განხორციელების პროგრესი გაიზარდა 15%-დან 51%-მდე, ტრანსპორტის სექტორში - 16%-დან 91%-მდე, მრეწველობის სექტორში - 38%-დან 100%-მდე, სოფლის მეურნეობის სექტორში - 40%-დან 86%-მდე, სატყეო სექტორში - 49%-დან 71%-მდე და ნარჩენების მართვის სექტორში 45%-დან 51%-მდე. მეორეს მხრივ, განხორციელების პროგრესი შემცირდა შენობების სექტორში 37%-დან 25%-მდე. ამასთან, 2023 წელთან შედარებით, 2025 წლის მიწურულისთვის განხორციელების პროგრესი შემცირდა 2 სექტორში (შენობები და სატყეო მეურნეობა). ეს სხვაობები აიხსნება არა იმდენად აქტივობების განხორციელების ტემპის ცვლილებით, რამდენადაც იმით, რომ 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა ჩანაცვლდა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმით, რომელშიც სხვა აქტივობები განისაზღვრა, მათ შორის შეიცვალა კონკრეტულ სექტორში აქტივობების როგორც რაოდენობა, ისე მათი სირთულე. აქედან გამომდინარე, **2025 წლის წლიური ანგარიში აქტივობების დონეზე არ მიმართავს შედარებას წინა წლებთან, როგა სხვა სამოქმედო გეგმა მოქმედებდა.**

### განხორციელების პროგრესი ამოცანების ჭრილში

აქტივობების განხორციელება გაანალიზდა ამოცანების ჭრილში, იმის გასაგებად, თუ რომელი მიმართულებით მიმდინარეობდა აქტივობების განხორციელება ორწლიანი სამოქმედო გეგმის განმავლობაში. 2025 წელს, **24 სხვადასხვა ამოცანიდან 13 ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები განხორციელდა 50 და მეტი პროცენტით**, მათგან 4 ამოცანის შემთხვევაში აქტივობები განხორციელდა 100%-ით, სამის შემთხვევაში - 82-დან 89 პროცენტამდე, 2 ამოცანის შემთხვევაში განხორციელება იყო 73%, ხოლო 4 ამოცანის განხორციელება არის 52%-დან 58%-ის ამპლიტუდაში. 11 ამოცანის შემთხვევაში 50-ზე ნაკლები პროცენტით იყო შესრულება და სამის შემთხვევაში - ნულოვანი პროცენტით. **ამოცანების ჭრილში განხორციელების პროგრესის ყველაზე მაღალი, 100%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა 4 ამოცანის მხრივ.**




**განხორციელების პროგრესის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგი ამოცანების ქრილში:** 100%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა შემდეგი ამოცანების შემთხვევაში - 2.1 დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში; 4.1 თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიის დონის შემცირება; 4.2 მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება; 7.1 დეგრადირებული ტყის აღდგენა. ასევე აქტივობების მაღალი, 73%-ის ზევით განხორციელება აღინიშნება 5 ამოცანის - 1.4, 2.4, 3.2, 5.1 და 5.2 ამოცანების შემთხვევაში, შემდეგ, 50%-ზე ზევით მაჩვენებლებით, მოდიან 1.1, 3.2, 6.1 და 6.2 ამოცანები.. ამდენად, **აქტივობების განხორციელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მრეწველობის სექტორში განსაზღვრული ამოცანების მიმართულებით, ხოლო განხორციელების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა შენობების სექტორში და ენერჯის გენერაციის სექტორში.**

კერძოდ, ყველაზე პრობლემატური ამოცანებია შემდეგი:

- ნულოვანი მაჩვენებელი დაფიქსირდა შემდეგი მიმართულებით: ამოცანა 1.2 თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება, 3.3 საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება და 3.5 ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება;
- აქტივობები განხორციელდა მხოლოდ 15%-ით ამოცანის 1.3. საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერების შემთხვევაში;
- აქტივობები განხორციელდა მხოლოდ 12%-ით ამოცანის 2.4. ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება შემთხვევაში.



განხორციელების პროგრესის კუთხით მოწინავე უწყებები არიან: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სსიპ მიწის მდგრადი მართვის და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, სს „რუსთავის აზოტი“ და შპს „ქობულეთის წყალი“, რომლებმაც 100%-ით შეასრულეს საკუთარი აქტივობები. ასევე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას (86%) და შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“. ყველაზე ნაკლები პროგრესი (0%) აჩვენა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდამ“, შპს „ბათუმის წყალმა“, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტმა“, შპს „ბიოდიზელ ჯორჯიამ“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.



განხორციელების დონე განმახორციელებელი უწყებების ჭრილში გვაჩვენებს, რომ ოთხ უწყებას არცერთი აქტივობის განხორციელება არ დაუწყია. 7 უწყებას აქვს ყველა აქტივობა განხორციელებული და 5 უწყებას ყველა აქტივობა აქვს მეტწილად შესრულებული. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აქტივობების 33% ჯერ არ დაწყებულა. ხოლო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყველა აქტივობის განხორციელება უკვე დაწყებულია. ამ სამინისტროს ცალკეული სტრუქტურული ერთეულებიდან აღსანიშნავია ა(ა)იპ სსიპ საქართველოს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი და სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, რომლებსაც მათზე მიკუთვნებული აქტივობების 100% აქვთ შესრულებული.


## დეტალური პროგრესი ამოცანების მიხედვით

### ენერჯის გენერაციის სექტორი

ამოცანა 1.1. განახლებადი ენერჯის (ქარის, მზის, ჰიდრო, ბიომასის) წარმოების ხელშეწყობა

2025 წლის მონაცემებით საქართველოს ჯამურ გენერაციაში განახლებადი ენერჯის წილი შეადგინა 80.2%. მათ შორის, 79.7% მოვიდა ჰიდროელექტროსადგურებზე, 0.5% - ქარის ელექტროსადგურზე. გამომუშავების 19.8% შეადგინა ბუნებრივ გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურებმა. ინდიკატორის შესრულების მაჩვენებელი გაზრდილია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით.

2024-2025 წლებში, აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელმა გადააჭარბა 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს და 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის 92.2% შეადგინა.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

**აქტივობა 1.1.1.:** ქარის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები.

**აქტივობა 1.1.2.:** მზის ენერჯიდან ელექტროენერჯის გამომუშავების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები.

**აქტივობა 1.1.3.:** ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკური და პროცედურული მხარდაჭერის სამუშაოები.

**აქტივობა 1.1.4.:** 200 მგვტ.სთ ენერჯის შემნახველი ბატარეის სისტემის (BESS) მონტაჟი ქსანის ქვესადგურზე.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. **28 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტრო სადგურების** ნაწილში, დასრულდა 18,75 მგვტ დადგმული სიმძლავრის ზემო ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა. აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები 206 მგვტ დადგმული სიმძლავრის რუსის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობაზე
2. **68 მგვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგურების** მშენებლობა არ დაწყებულა, რადგან პროექტი იმყოფება კვლევის ეტაპზე. პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო სიმძლავრის მეორე აუქციონში, რომელშიც გაიმარჯვა და მოიპოვა ტარიფი, შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ კომპანიას ექნება 3 წელი ექსპლუატაციაში მისაღებად. 2025 წელს დასრულდა მზის 6 სადგურის მშენებლობა თითოეული 2 მგვტ სიმძლავრის.
3. **87.7 მგვტ სიმძლავრის ჰიდრო ელექტრო სადგურების** აშენების ინდიკატორი გადაჭარბებით განხორციელდა. ჯამში აშენდა 128.75 მგვტ. სიმძლავრის სადგური. კერძოდ, შპს მტკვარი ჰესის 54.1 მგვტ მტკვარი ჰესის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, სადგური საცდელ გაშვების ეტაპზეა და გამოიმუშავებს ელექტროენერჯს საცდელ გაშვებაში. შპს სტორის მიერ მიმდინარეობს სტორი ჰესის მშენებლობა 33.6 მგვტ სიმძლავრით, პროექტის სამშენებლო სამუშაოების 80% შესრულებულია. გარდა ამისა, 2024 წელს აშენდა 44.5 მგვტ სიმძლავრის ხობი 2 ჰესი, 1.5 მგვტ სიმძლავრის ტოლოში ჰესი, 1.94 მგვტ სიმძლავრის შევაბური ჰესი და 0.81 მგვტ სიმძლავრის დაღეთი ჰესი.
4. **200 მგვტ.სთ ენერჯის შემნახველი ბატარეის სისტემის (BESS)** პროექტის განხორციელება საწყის ეტაპზეა, კონტრაქტორის გამოვლენის მიზნით მიმდინარეობს დაინტერესებული კომპანიების სატენდერო წინადადებების შეფასების ეტაპი. აგრეთვე შემუშავებულია პროექტის ზედამხედველი კონსულტანტის ტექნიკური დავალება, მიმდინარეობს ბაზრის კვლევის პროცედურები მომსახურების დირექტორების დადგენის მიზნით.

### გამოწვევები


- 8 მგვტ-იანი პროექტი აღარ განხორციელდება, ვინაიდან ინვესტორის მხრიდან გახდა ცნობილი გარკვეული გარემოებები, რომელიც

ხელს უშლის პროექტის განვითარებას.

- ზოგი პროექტის დასრულებამ შესაძლოა გადაიწიოს 2027 წელს.
- ჰესის ექსპლუატაციაში დროულად ვერ მიღება.
- პროექტის განხორციელება გადაიდო საფინანსო ინსტიტუტების მიერ თანხის გამოყოფის შესახებ მოლაპარაკებების გაჭიანურებით.

### ამოცანა 1.2. თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება

ამოცანა 1.2. გულისხმობს ახლად აშენებული კომბინირებული თბოელექტროსადგურით ძველი დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე სადგურების ჩანაცვლების გზით თბოსადგურებში ელექტროენერჯის გამომუშავების ეფექტიანობის გაუმჯობესებას. მაგრამ ვინაიდან 2024-2025 წლებში ახალი თბოსადგურის ექსპლუატაციაში არ შესულა, ამოცანის შედეგის ინდიკატორი რჩება საბაზისო დონეზე. 2022 წლის საშუალოვადიანი მაჩვენებელთან შედარებით ჩამორჩენაა 1 პროცენტული პუნქტი, ხოლო 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით - 3 პროცენტული პუნქტი. არსებული მაჩვენებელი 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის 88%-ს შეადგენს.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

1. **აქტივობა 1.2.1.:** ახალი კომბინირებული თბოელექტროსადგური გარდაბანი 3-ის მშენებლობა


### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

2026 წლამდე უნდა აშენდეს ერთი კომბინირებულ ციკლზე მომუშავე გაზის თბოელექტროსადგური. აქტივობა არ დაწყებულა. ამ ეტაპზე პროექტი შეჩერებულია, მიმდინარეობს განხილვა. თბოსადგურის ასაშენებლად გამოცხადებულ ტენდერში რამდენჯერმე ვერ მოხდა გამარჯვებული ინვესტორის გამოვლენა, ვინაიდან მათ სრულად ვერ დააკმაყოფილეს სატენდერო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები. გარდა ამისა ამ ეტაპზე მიმდინარეობს განხილვა პროექტის სხვადასხვა გზით განვითარების კუთხით.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"><li>● ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენა</li></ul>

### ამოცანა 1.3. საქართველოს გადამცემ ქსელში განახლებადი ენერჯის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერება

2024 წელს საქართველოს ენერჯის სისტემის დადგმულ სიმძლავრეში განახლებადი ენერჯის (ქარის და მზის სადგურების) წილი შეადგენდა 0.44%-ს, რაც თითქმის უტოლდება საბაზისო მაჩვენებელს, 0.1 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება 2022 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს და 6.6 პროცენტული პუნქტით - 2024 წლის სამიზნე მაჩვენებელს. ამასთან, ეს მაჩვენებელი საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის მხოლოდ 2.42%-ს შეადგენს. ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებლის ჩამორჩენა უკავშირდება იმას, რომ პროექტები იმყოფებიან განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. პროექტების დაგვიანებით განხორციელების ან რიგ შემთხვევაში, გაუქმების გამო, ამოცანის შესრულება მოხდება დაგვიანებით. განხორციელების რისკები უკავშირდება პროექტის კვლევის ეტაპზე მიღებულ ინვესტორისათვის არადაამაკმაყოფილებელ შედეგებს (რის შედეგადაც იცვლება პროექტის პარამეტრები ან სრულად უქმდება), ინვესტიციების ნაკლებობას, ინვესტორის ცვლილებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროექტების დიდი ნაწილი ვითარდება განსაკუთრებით სიმძლავრის აუქციონებში გამარჯვების შემდგომ. ამიტომ მომდევნო წლებში მოსალოდნელია ინდიკატორის შესრულების მაჩვენებლის ზრდა.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

- 1. აქტივობა 1.3.1.:** სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის განხორციელება ელექტროგადამცემის კომპანიებისთვის).

### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

აქტივობას ჰქონდა 3 აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

- 1. 1800 მგვტ. სიმძლავრის ქვესადგურის აშენება/გარემონტება ნაწილობრივ შესრულდა.** აშენდა 500 მგვა სიმძლავრის წყალტუბოს ქვესადგური. გარდა ამისა, იგეგმება სხვა პროექტების განხორციელებაც. საანგარიშო პერიოდში სამუშაოები არ დასრულებულა, თუმცა მიმდინარეობს მშენებლობა რამდენიმე ქვესადგურზე: ა) 220/110 კვ ოზურგეთის ქვესადგურზე სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია


მიმდინარეობს მოლაპარაკება კონტრაქტორთან სამუშაოების გაგრძელებასთან და კონტრაქტის ღირებულების კორექტირებასთან დაკავშირებით; ბ) სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია მიმდინარეობს მოლაპარაკება კონტრაქტორთან სამუშაოების გაგრძელებასთან და კონტრაქტის ღირებულების კორექტირებასთან დაკავშირებით ლაჯანურის 220/110 კვ ქვესადგურზე, გ) წყალტუბო 220 კვ ქვესადგურის გაფართოების პროექტი დასრულებულია. დ) ქს ილლიანზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. დიზაინი დასრულდა მასალები და მოწყობილობები შეკვეთილია. ნაწილი უკვე მოწოდებულია. მიმდინარეობს წყალტუბო 500კვ ქვესადგურის საბოლოო ტესტირების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. 220/110კვ ოზურგეთისა და ლაჯანურის ქ/სადგურების მშენებელ კონტრაქტორთან მიმდინარეობს მოლაპარაკება კონტრაქტორთან სამუშაოების გაგრძელებასთან და კონტრაქტის ღირებულების კორექტირებასთან დაკავშირებით

2. **800კმ. სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების** აშენება/გარემონტება ნაწილობრივ შესრულდა. კერძოდ, მიმდინარეობს მშენებლობები სხვადასხვა ელექტროგადამცემ ხაზებზე. ა) 220 კვ ეგ არაგვის გაორჯაჭვიანება, სიგრძე 34 კმ და შესაბამისი უჯრედების მოწყობა. ბ) 500კვ ეგ ჯვარი-წყალტუბო-ს მშენებლობა. გ) 1.500 კვ ერთჯაჭვა ეგ ლაჯანური-წყალტუბო - სიგრძე: დაახლ. 49 კმ.; 220 კვ ორჯაჭვა ეგ წყალტუბო-ლაჯანური (დერჩის გაორჯაჭვიანება)- სიგრძე: დაახლ. 45.2 კმ; 220 კვ ორჯაჭვა ეგ-ის წყალტუბო-ლაჯანურის შეჭრა ქვემო ნამახვანში - სიგრძე: დაახლ. 6.4 კმ; 220 კვ ორჯაჭვა ეგ-ის წყალტუბო-ლაჯანურის შეჭრა ზემო ნამახვანში -სიგრძე: დაახლ. 5.2 კმ ; დ) 110 კვ ეგ ოზურგეთი - ზოტი და 220 კვ. პალიასტომი-ოზურგეთი ე) წყალტუბო-ახალციხის 500კვ ორჯაჭვა და ახალციხე-თორთუმის 400კვ ერთჯაჭვა ეგ-ების მშენებლობა. 500კვ ეგ ჯვარი-წყალტუბო-ს მშენებლობის პროექტის ფარგლებში 2025-ის მეოთხე კვარტალში, გაფორმდა ხელშეკრულების ცვლილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პროექტის დასრულების განახლებული ვადა, საპროექტო საჭიროებებით გამოწვეული ცვლილებები და დაკორექტირდა ხელშეკრულების ფასი. მიმდინარეობდა ეგ-ის მეორე ნაწილის შეცვლილი მარშრუტის პროექტირება. ხოლო ეგ-ის პირველ და მესამე ნაწილებზე მიმდინარეობდა სავსე სამუშაოები. ეგ-ის პირველ ნაწილზე მიმდინარეობდა საექსკავაციო სამუშაოები. კონტრაქტორი ახორციელებდა მასალის მოწოდებას. წყალტუბო-ახალციხის 500კვ ორჯაჭვა და ახალციხე-თორთუმის 400კვ ერთჯაჭვა ეგ-ების მშენებლობის პროექტის ფარგლებში კონტრაქტორს გადაეცა სამშენებლო სამუშაოების ნებართვა. მიმდინარეობს მობილიზების ეტაპი სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად. აქტიური სამშენებლო სამუშაოების დაწყება იგეგმება 2026 წლის მარტიდან თუმცა, დამოკიდებულია ამინდზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხელშეკრულების ცვლილების გაფორმება, რომელიც ითვალისწინებს შუალედურად კონტრაქტის ვადის განანგრძლივებას 1 წლის ვადით.
3. **152.08 მგვტ. ჯამური დადგმული სიმძლავრის ქარის და მზის სადგურების** ინტეგრირება არ დაწყებულა. სხვადასხვა მიზეზის გამო, მოხდა პროექტების სტატუსების ცვლილება - გარკვეული პროექტები მშენებლობის ეტაპიდან კვლევის ეტაპზე დაბრუნდნენ, ვინაიდან შეიცვალა ინვესტორი და ჩატარებული კვლევები არ იყო მისაღები, გარკვეულმა პროექტებმა წინადადებები წარმოადგინეს სიმძლავრის აუქციონში ან პირდაპირი წესით შერჩევაში, შესაბამისად მათი განხორციელების ვადები შეიცვალა და გაიზარდა. მიმდინარეობს ქარის და მზის პროექტების განვითარება. პროექტები იმყოფებიან სხვადასხვა სტადიაზე. ამჟამინდელი მონაცემებით ელექტროენერჯის მიწოდების ქსელში ჩაერთო 6 მზის ელექტროსადგური ჯამური დადგმული სიმძლავრით 12მგვტ. ამასთანავე, მიმდინარეობს მზისა და ქარის პროექტების განვითარება, მშენებლობა/ლიცენზირების ეტაპზე იმერეთი 1 ის (100 მგვტ) და რიკოთის ქარის (24 მგვტ) პროექტები, ასევე მშენებლობა/ლიცენზირების ეტაპზეა ქისტაურის (2მგვტ), ჯუგანის (2მგვტ), ხირსის (2 მგვტ) და ქვახვრელის მზის (5.32 მგვტ), მზის ელექტროსადგურების პროექტები.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● ძირითადი გამოწვევაა სანებართვო პროცესების გაჭიანურება.</li> <li>● არის შემთხვევები, როდესაც კონტაქტორი კომპანიებისგან ხდება მასალების არადროული მოწოდება, რაც პროექტის დაგვიანებასაც იწვევს.</li> <li>● ინვესტორების მხრიდან ჩატარებული არასრულფასოვანი კვლევები.</li> <li>● პროექტში ინვესტორის ცვლილებები და შესაბამისად პროექტის განვითარებისთვის საჭირო ვადის ცვლილება.</li> </ul>

ამოცანა 1.4. ენერგეტიკის სფეროში ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის შემუშავება

2024-2025 წლებში, 1.4.1. ამოცანის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებელმა, ენერგეტიკის სფეროში შემუშავებული, დაინტერესებულ მხარეებთან განხილული და შეთანხმებული, ინიცირებული ახალი პოლიტიკის დოკუმენტების, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების რაოდენობამ შეადგინა 26, რაც 14-ით მეტია 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელზე და 17-ით მეტია 2022 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებლებთან შედარებით. ეს მაჩვენებელი 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (30-ზე მეტი) 86.7%-ს შეადგენს.



კერძოდ, ენერგეტიკის სფეროში შემუშავებული, დაინტერესებულ მხარეებთან განხილული და შეთანხმებული, ინიცირებული ახალი პოლიტიკის დოკუმენტების, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების შემდეგი:

- **2021 წელს** შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონიდან დამტკიცდა: 1) შენობებისთვის, შენობის ნაწილებისთვის ან შენობის ელემენტებისთვის ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები; 2) შენობების ენერგოეფექტურობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია; განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონიდან დამტკიცდა: 1) თბური ტუმბოების ეკოლოგიური ეტიკეტირების მინიმალური მოთხოვნები; 2) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოების სერტიფიკატის გაცემის წესი.
- **2022 წელს** ენერგოეფექტურობის შესახებ კანონიდან დამტკიცდა: 1) გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის წესი; 2) ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ენერგოეფექტურობის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის შესრულების თაობაზე ანგარიშგების წესი; 3) ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის შეტყობინების წარდგენის წესი; 4) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ წესი; 5) და 6) - სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ წესი (ორი კანონქვემდებარე აქტი გაერთიანებულია ერთად); 7) ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობების რეესტრის წარმოების წესი; 8) პოლიტიკის ალტერნატიული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ წესი; 9) ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების განხორციელების ბიუჯეტირების წესი; 10) და 11) გაზომვისა და დადასტურების პლატფორმის ფორმატის განსაზღვრისა და მასზე ინფორმაციის/მონაცემების განთავსების, ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელებისა და მიღწეული ენერგოდანაზოგების შესახებ ანგარიშგების წესი (ორი კანონქვემდებარე აქტი გაერთიანებულია ერთად).
- **2023 წელს** „ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცდა „ადმინისტრაციული ორგანოს სარგებლობაში არსებული შენობის ენერგომახასიათებლების შესახებ ხელშეკრულების, ანგარიშწორების წესებისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების ნიმუში“, რომელიც აერთიანებს, კანონით განსაზღვრულ 3 კანონქვემდებარე აქტს. „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცდა ორი კანონქვემდებარე აქტი: „ენერგოეფექტურობის გამოსათვლელი ერთი ან რამდენიმე პროგრამის შემუშავებისა და გამოყენების წესი“ და „შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატებისა და გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების ინსპექტირების ანგარიშების რეესტრისა და დამოუკიდებელი ექსპერტების შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოების წესი“. „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცდა 1 კანონქვემდებარე აქტი - „სერტიფიცირებული და კვალიფიციური მემონტაჟების სია“.
- **2024 წლის** 27 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა და მისი დანართი ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა, ასევე ცვლილებები „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონებში. 2024 წელს დამტკიცდა ენერგოეტიკეტირების შესახებ კანონის 14 რეგლამენტი.

## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 1.4.1.:** საქართველოს ენერგეტიკის და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა.

2. **აქტივობა 1.4.2:** საქართველოს მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის ერთიანი გრძელვადიანი მულტისექტორული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება.
3. **აქტივობა 1.4.3.:** მწვანე წყალბადის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და გზამკვლევის შემუშავება.

#### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. **საქართველოს ენერგეტიკის და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დამტკიცება** - საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა და მისი დანართი - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა - მომზადებულია ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონის (2019 წ.) შესაბამისად, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავალდებულებს, შეიმუშაოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა სულ მცირე 10 წლიანი პერიოდისთვის. კანონის თანახმად, პოლიტიკა უნდა შეიცავდეს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმას ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და სოლიდარობაზე, სათბურის აირების ემისიების შემცირებაზე, ენერგეტიკულ სექტორში ინოვაციებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობასა და ენერჯიაზე მოთხოვნის მართვაზე. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა მომზადდა ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, ვინაიდან საქართველო 2017 წლიდან საქართველო ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმების მხარეა და მას შემდეგ ქვეყანა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების შესრულებისა და ენერგეტიკული გაერთიანების სამუშაო პროგრამის მიხედვით საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესში იმყოფება. საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა 2030 წლამდე დარგის განვითარების ხედვას, პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიმართულებებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს. ის ქმნის დარგის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების საფუძველს. დოკუმენტი მომზადებულია დარგის ექვერტებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით და ეკონომიკური უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში არსებული ეროვნული სტრატეგიების გათვალისწინებით. საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი მიზანია, გაზარდოს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში ყველა მომხმარებლისთვის სამართლიან ფასად სხვადასხვა ტიპის მაღალი ხარისხის ენერჯიის საიმედო და უწყვეტი მიწოდების გზით და ამავე დროს, დაიცვას ეროვნული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების ინტერესები და უზრუნველყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.
2. **2026 წლამდე საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით 2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას ხელმომწერი ქვეყნები თანხმდებოდნენ, რომ გააძლიერებდნენ თავიანთ ძალისხმევას და შეიმუშავებდნენ მწვანე ზრდის სტრატეგიას, რომელშიც ხაზგასმული იქნებოდა „მწვანე განვითარებისა“ და „მწვანე ზრდის“ პრინციპები დოკუმენტის მიზანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზებისა და მისი


განვითარების ხელშეწყობა მდგრადობის, მწვანე განვითარებისა და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის გზით. მწვანე ზრდის სტრატეგიის დოკუმენტმა უნდა მოიცვას ეკონომიკის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, განათლების სექტორები, აგრეთვე ამ სექტორებში განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი დაფინანსების საკითხები

**3. მწვანე წყალბადის სტრატეგიის, მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის და გზამკვლევის შემუშავება** მწვანე წყალბადის სტრატეგია აყალიბებს ძირითად პრინციპებს, პრიორიტეტებს, დაშვებებსა და რეკომენდირებულ ნაბიჯებს. გარდა ამისა, იგი განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკას და წარმართავს მწვანე წყალბადის ტექნოლოგიის სტრატეგიულ გავრცელებას. ხოლო მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან თანმიმდევრულ ნაბიჯებს, რომლებიც განაპირობებენ იმ პოტენციური დონორებისა და ინვესტორების ნდობას, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან საქართველოში წყალბადის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერით. 2050 წლის ხედვის მისაღწევად განხორციელდება: 2024-2030: ხელშემწყობი გარემოს მომზადება და საპილოტე პროექტები; 2030-2040 ბაზრის გაფართოება; 2040-2050 ბაზრის სრულად დანერგვა. მწვანე წყალბადის სტრატეგიის შემუშავება სავალდებულოა EU/KFW-სთან გაფორმებული პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხიდან გამომდინარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზიის განვითარების ბანკი მოამზადებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმასა და გზამკვლევს.


<b>გამოწვევები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>● დოკუმენტების საჯარო განხილვები დაკავშირებული იყო ბევრ სირთულესთან და გამოწვევასთან.</li> <li>● გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით დოკუმენტებს დასჭირდა სკრინინგისა და სგმ-ს პროცედურების ჩატარება, რამაც დროში გაწელა პროცესი.</li> <li>● დაინტერესებული და ჩართული მხარეების კოორდინირებული მუშაობა.</li> <li>● დონორის მხრიდანაც ვადების დარღვევა.</li> <li>● მწვანე წყალბადი წარმოადგენს სიახლეს, ამ მიმართულებით კი რთულია კონკრეტული სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება.</li> </ul>

ამოცანა 2.1. დაბალი და ნულოვანი ემისიის მქონე და ტექნიკურად გამართული კერძო ავტომობილების წილის გაზრდა ავტოპარკში


2022 წლის ბოლოსთვის არსებული მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულ ავტოპარკში ელექტრომობილების წილი შეადგენდა 0.24 %-ს. 2023 წლის ბოლოსთვის არსებული მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულ ავტოპარკში ელექტრომობილების წილი შეადგენდა 0.3 %-ს. **2025 წლის მონაცემებით არსებული მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია და შეადგენს 0.6%-ს.** თუმცა აღსანიშნავია, რომ 0.6% უტოლდება მხოლოდ 2022 საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს და ჩამორჩება 2024 წლის სამიზნე მაჩვენებელს (1%), ხოლო საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (ავტოპარკში 5%-იანი წილი) მხოლოდ 10%-ს შეადგენს.



2025 წლის მოწოდებული ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებულ ავტოპარკში ჰიბრიდული ავტომობილების წილი გაზრდილია და შეადგენს 9.2%-ს. 2023 წელს ის შეადგენდა 8.7%-ს, 2022 წელს კი - 7.26 %-ს. **2024 წლის მაჩვენებელი აჭარბებს 2024 წლის (6.7%) საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებლებს და 2030 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (ავტოპარკში 20%-იანი წილი) 46%-ს აღწევს.**



რაც შეეხება ამოცანის შედეგის ინდიკატორს 2.1.3. პირველად ტექნიკურ ინსპექტირებაზე დახარჯებული ავტომობილების პროცენტული წილი, 2025 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაუმჯობესდა და შეადგინა 23.3% (2023 წელს - 23.8%), რაც საბაზისო (2020 წ.) მაჩვენებელთან (55%) შედარებით, მიუთითებს პირველად ტექნიკურ ინსპექტირებაზე გამოცხადებული ავტომობილების ტექნიკური გამართულობის მდგომარეობის მკვეთრ და განგრძობით გაუმჯობესებაზე. ეს შედეგი აღემატება არა მხოლოდ 2024 წლების საშუალოვადიან მაჩვენებელს, არამედ 2030 წლის სამიზნე მაჩვენებლის 123%-იან შესრულებას ნიშნავს.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 2.1.1.:** ტექნიკური ინსპექტირება გაუვლელი სატრანსპორტო საშუალებების გამოსავლენად მუნიციპალიტეტების მიერ შესყიდული სახელმწიფო საწარმო ნიშნის ამომცნობი ე.წ „ჭკვიანი კამერების“ შსს-ს ვიდეომეთვალყურეობის ერთიან ქსელში ჩართვა.
2. **აქტივობა 2.1.2.:** სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, ავტომობილების გამონაბოლქვის გამზომი საველე საზომი მოწყობილობით აღჭურვილი ეკიპაჟების დამატება.
3. **აქტივობა 2.1.3.:** ელექტრომობილების გამოყენების წახალისებისთვის დამატებითი ოპტიმალური საგადასახადო შეღავათებისა და ალტერნატივების იდენტიფიცირება ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე.


აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. მუნიციპალიტეტების მიერ შესყიდული კამერების 100%-ის შსს-ს ერთიან ქსელში ჩართვა განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტების მიერ შესყიდული და დამონტაჟებული 129 კამერა ჩართულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან ქსელში.
2. 2026 წლამდე ქალაქებში ავტომობილის გამონაბოლქვის გამწოში საველე საზომი მოწყობილობით აღჭურვილი დამატებით სულ მცირე 3 ეკიპაჟის ამოქმედება - აქტივობის შესრულება შეადგენს 500 %-ს - 2025 წლის მიწრულისთვის მოქმედებს ავტომობილის გამონაბოლქვის გამწოში საველე საზომი მოწყობილობით აღჭურვილი სულ 15 ეკიპაჟი.
3. 2026 წლამდე შესაძლო საგადასახადო შედავათების ალტერნატივების ანალიზის განხორციელება არ დაწყებულა. 2023 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოიძია დონორი ორგანიზაცია (USAID), რომლის მხარდაჭერითაც უნდა განხორციელებულიყო ზემოაღნიშნული აქტივობა, თუმცა 2025 წელს აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეაჩერა საქმიანობა და შესაბამისად აღნიშნული აქტივობის განხორციელებაც შეჩერებულია. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მიზანია, გაზომოს, თუ რამდენად გაზრდის გადასახადების შემცირება იმპორტირებული ელექტრომობილების რაოდენობას.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>• კომუნიკაცია მუნიციპალიტეტებსა და შსს-ს შორის წარმოებს ზეპირსიტყვიერად, რაც ართულებს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას იმ მუნიციპალიტეტების შესახებ, რომლებშიც მოხდა კამერების ჩართვა.</li> <li>• ეკიპაჟების დაკომპლექტება და ტრენინგი.</li> <li>• დონორი ორგანიზაციის მოძიება.</li> </ul>

ამოცანა 2.2. წიაღისეულ საწვავზე მოთხოვნის შემცირებისა და ბიოსაწვავის გამოყენების წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორად განსაზღვრული იყო 2.2.1 - საქართველოს ტერიტორიაზე ენერჯის საბოლოო მოხმარებაში ყველა სახეობის ტრანსპორტის მიერ მოხმარებული განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილი. საქართველოს 2021 წლის ენერჯო ბალანსის მონაცემების მიხედვით, ტერიტორიაზე, ენერჯის საბოლოო მოხმარებაში ყველა სახის ტრანსპორტის მიერ მოხმარებული განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებულის წილმა შეადგინა 1%. აღნიშნულში ძირითადად მოიაზრება რკინიგზის წილი. იგივე მაჩვენებელი დარჩა 2024-2025 წლებში, რაც საბაზისო მაჩვენებელზე, 2%-ზე ნაკლებია. მაჩვენებელი იმავე დონეზე იყო 2020 წლის ენერჯო ბალანსის მონაცემების მიხედვითაც. მოცემული მაჩვენებელი (1%) ჩამორჩება 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებლებს (4%) და საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (10%) მხოლოდ 10%-ს შეადგენს.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. აქტივობა 2.2.1.: ბიოდიზელის წარმოების ხელშეწყობა და წახალისება.
2. აქტივობა 2.2.2.: ბიოდიზელის ახალი, გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა.
3. აქტივობა 2.2.3.: ბიოდიზელის გამოყენება მუნიციპალური სერვისების ავტოპარკში.

### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. ბიოდიზელის წარმოების და რეალიზების შესახებ მონაცემთა ბაზის განახლება სრულად არის შესრულებული. ბიოდიზელის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ მონაცემები იკრიბება სტაციონარული წყაროებიდან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების


შესახებ მონაცემების შეგროვების პროცესში. საწარმოები ყოველწლიურად წარმოადგენენ ინფორმაციას გამოყენებული მასალის, წარმოებული პროდუქციისა და მისი რეალიზაციის შესახებ, მათ შორის მონაცემებს ბიოდიზელის წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ.

2. **2026 წლამდე ბიოდიზელის 1 საწარმოს აშენება** აქტივობის განხორციელება საწყის ეტაპზეა. შექმნილია ტერიტორია, სადაც უნდა აშენდეს ბიოსაწვავის გადამამუშავებელი ქარხანა, მიყვანილია კომუნიკაციები. პროექტი ითვალისწინებს მეორეული მცენარეული საკვები ზეთებისაგან ტრანსეთერიფიკაციის მეთოდით ბიოდიზელის მიღებას, რომელიც გამოიყენება საწვავად. ახალ საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 30000 ტონა ბიოდიზელის წარმოება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის.
3. **2026 წლამდე მინიმუმ 1 საპილოტე პროექტის განხორციელება** არ დაწყებულა. საპილოტე პროექტის დასაწყებად მიმდინარეობს ფონდების მოძიების პროცესი, რაც გულისხმობს დონორი ორგანიზაციის მოძიებას პროექტის განსახორციელებლად. პროექტის მიზანია ერთი საპილოტე მუნიციპალიტეტის შერჩევა, რომლის ავტოპარკშიც მოხდება ბიოდიზელის გამოყენება/დანერგვა სატესტო რეჟიმში. პროცესის წარმატებულად დასრულების შემდეგ, მოხდება ბიოდიზელის გამოყენება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში.


გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესის დასრულება ევროპულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბაზარზე ბიოდიზელის გამოყენების ვალდებულების დანერგვას ბლენდირებული სახით.</li> <li>● დონორის მოძიება.</li> </ul>

ამოცანა 2.3. მობილობის არამოტორიზებული საშუალებებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის წახალისება

ამოცანის შედეგის ინდიკატორთან 2.3.1 - თბილისში მგზავრობის პროცენტული წილი, რომელიც არამოტორიზებული ტრანსპორტით (ველოსიპედი და ფეხით სიარული) ხორციელდება, მიმართებით, 2024 და ნაწილობრივ 2025 წლის მდგომარეობით, **დედაქალაქში არამოტორიზებული ტრანსპორტით (ველოსიპედი და ფეხით სიარული) გადაადგილებას ახორციელებს მგზავრების 12%, რაც წარმოადგენს გაუმჯობესებას 2023 წლის მაჩვენებელზე - 9%, თუმცა ეს მაჩვენებელი 2024 წელს უნდა ყოფილიყო 32%. მაჩვენებელი საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (35%-იანი წილი) მხოლოდ 34.3%-ს შეადგენს.** სავარაუდოდ, აღნიშნული დიდი აცდენა, ერთის მხრივ, საბაზისო მაჩვენებელსა და მის საფუძველზე დაგეგმილ საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებლებს, და მეორეს მხრივ, მიღებულ შედეგს შორის, აიხსნება დათვლის მეთოდოლოგიური სხვაობით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელდებოდა დედაქალაქში ველობილიკების, საფეხმავლო ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების მოწესრიგება იმისათვის, რომ მოხდეს მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა და აქედან გამომდინარე, ნავარაუდებია 2030 წლისთვის ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებლის შესრულება.



რაც შეეხება მეორე ინდიკატორს, 2.3.2 - თბილისში მგზავრობის პროცენტული წილი, რომელიც საზოგადოებრივი (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი) ტრანსპორტით ხორციელდება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრობის წილი 2025 წელს შეადგენდა 25%-ს, რაც 5 პროცენტული პუნქტით აღემატება 2022 და 2023 წლების მაჩვენებელს, თუმცა მაინც ჩამორჩება 2024 წლების საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს (41%) და საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (45%) 55.5%-ს შეადგენს. მოცემული მომენტისათვის საავტობუსე და სამარშრუტო ავტომობილების ავტოპარკის განახლებასთან ერთად, მიმდინარეობს საავტობუსე ზოლებისა და განახლებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების სქემის დაგეგმვის პროცესი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა პროცენტული წილი სამიზნე მაჩვენებელს გაუთანაბრდეს.



**აქტივობები**

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 2.3.1.:** თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
2. **აქტივობა 2.3.2.:** ბათუმის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმით და ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. **აქტივობა 2.3.3.:** აჭარის რეგიონალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფორმალური სისტემის განვითარება.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა

- 1. თბილისში 18 მეტრიანი 160 ერთეული ავტობუსის ახალი სამარშრუტო ქსელის სატრანზიტო დერეფნებზე ამოქმედება** მეტწილად შესრულდა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედაქალაქში 18 მეტრიანი ავტობუსები მოძრაობს 5 მარშრუტზე: № 301 ანა პოლიტკოვსკაია-წმინდა ბარბარეს უბანი; № 302 დიდი დილომი IVმ/რ-სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი; № 305 ქიზიყის ქუჩა N5 - სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი; № 306 დიდი დილომი IV მ/რ - წმინდა ბარბარეს უბანი; № 308 გლდანის ტბა-ბარათაშვილის ქ.; № 310 ვარკეთილის IVმ/რ-სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი; № 314 დიდი დილომი IV მ/რ-ბარათაშვილის ქ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია უახლოეს წლებში სრულად დაიფაროს ქალაქის 10 ძირითადი სატრანზიტო დერეფნის მომსახურება აღნიშნული მოცულობის ავტობუსებით. რისთვისაც აუცილებელია მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა რაც ტექნიკურად შესაძლებელს ხდის გაიზარდოს მოსახლეობის მომსახურებისა და ავტოპარკის სრულად დატვირთვის კოეფიციენტი. **ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება თბილისის მეტროს 12 სადგურის მოდერნიზებისათვის** მეტწილად შესრულდა. დასრულებულია პროექტის ძირითადი სამუშაოები. საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ტენდერი დასრულებულია 2024 წლის 29 ნოემბერს და ამჟამად მიმდინარეობს წინადადებების შეფასება. მიმდინარეობს მასალების დამუშავება კონსულტანტთან ერთად.
- 2. ახალი მეტროს ვაგონების შექმნის თაობაზე ტენდერის გამოცხადება** მეტწილად შესრულებულია. 025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულია მეტრო ახმეტელისა და მარჯანიშვილის მეორე ამოსასვლელების სავარაუდო არეალების კვლევა და მიმდინარეობს აღნიშნული არეალების პირველადი დიზაინების შემუშავების პროცესი. მომზადებულია მ/ს დიდუბე, მ/ს დელისი, მ/ს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მ/ს ახმეტელის შიდა მისაწვდომობის პირველადი დიზაინი. ასევე მომზადებულია მექანიზაციის პირველადი დიზაინი მ/ს დელისის, მ/ს ტექნიკური უნივერსიტეტის, მ/ს ახმეტელისა და მ/ს სადგურის მოედნისათვის. აგრეთვე მიმდინარეობს გარე მისაწვდომობის კვლევის პროცედურები თითოეული მეტროსადგურის მიმდებარე არეალებზე. პროექტის ფინალური ფასის დასრულების სავარაუდო პერიოდია 2026 წლის III კვარტალი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 14 ოთხვაგონიანი და 11 ხუთვაგონიანი (ჯამში 111 ვაგონი) შემადგენლობის და მატარებლის მართვის კაბინის სიმულატორის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მოხდება მემანქანეთა და მატარებლის მოძრაობასთან დაკავშირებული პირების გადამზადება/შეფასება.
- 3. სრულად შესრულდა ინდიკატორი** - 81 ერთეული გონიერი შუქნიშანი დამონტაჟდა მთელი ქალაქის მასშტაბით, უმეტესად რეაბილიტირებულ სატრანსპორტო კვანძებზე, რისი მიზანიც არის როგორც სატრანსპორტო, ასევე საფენმავლო ნაკადების ოპტიმიზაცია და ეკომეგობრული გარემოს შექმნა საცობების განეიტრალების ხარჯზე. აღნიშნული შუქნიშნები მკვეთრად აუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამტარუნარიანობასა და მოძრაობის ეფექტურობას, რაც ასევე დადებითად მოქმედებს მოსახლეობის მობილობის კოეფიციენტსა და ხარისხზე.
- 4. თბილისში 3 ახალი ველობილიკის მოწყობა** - ნაწილობრივ შესრულდა. 1 ველობილიკი მოწყობილია აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში და მოიცავს სრულად გამზირს დინამოს სტადიონის მიმდებარე სატრანსპორტო კვანძიდან დიდუბის მეტრომდე. აღნიშნულ ქუჩაზე ველობილიკი აქამდე არ არსებობდა.

5. **1 საბაგრო ხაზის რეაბილიტირება და ამოქმედება** სრულად შესრულდა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დედაქალაქს დაემატა და ფუნქციონირებს რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგრო დერეფანი.
6. **3 ახალ ქუჩაზე მულტიმოდალური დაგეგმარების პრინციპების შესაბამისად დიზაინის განახლება** მულტიმოდალური ქუჩის პრინციპი გულისხმობს საჯარო სივრცის თანასწორ განაწილებას საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორის. აღნიშნული პრინციპი საგზაო მოძრაობის მონაწილეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის გადაადგილების საშუალებას: საქვეითე, ველოსიპედის, არამოტორიზებული ტრანსპორტის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და კერძო ავტომობილის გადაადგილება. ასეთი პრინციპის გამოყენება ქალაქებს ეხმარება ქუჩების უფრო ეფექტიან დაგეგმვაში, რაც ასევე, უზრუნველყოფს ქუჩის მულტიმოდალური გამტარიანობის ზრდას. მულტიმოდალური ქუჩა ემსახურება უფრო მეტ მგზავრობას ვიდრე მხოლოდ კერძო ავტომობილის გადაადგილებაზე მორგებული ქუჩა, შესაბამისად მნიშვნელოვანია რომ თითოეული სატრანსპორტო კვანძის რეაბილიტაცია ქალაქში მოხდეს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით.
7. **2025 წლის ბოლოსთვის ბათუმში ზონალურ-საათობრივი პარკირების 3 ლოკაციაზე დანერგვა** არ დაწყებულა. აქტივობის განხორციელება დაგეგმილი იყო GIZ-ის პროექტის ConnectGeorgia ფარგლებში.
8. **2025 წლის ბოლოსთვის ბათუმში 2 ახალი ველობილიკის მოწყობა** არ დაწყებულა. პროექტის "მდგრადი ურბანული მობილობა ბათუმში" ფარგლებში მზადების ეტაპზეა, KfW ბანკსა და ბათუმის მერიას შორის გასაფორმებელია განსაკუთრებული შეთანხმება, რომლის შემდგომ შესყიდულ იქნება საკონსულტაციო მომსახურება და დაიწყება აქტივობების განხორციელების მომსახურების შესყიდვის პროცესი (2025 წლის ბოლო კვარტალში).
9. **2025 წლის ბოლოსთვის, ბათუმში მდგრადი ტრანსპორტის ხელშეწყობი 5 საპილოტე ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება** არ დაწყებულა. GIZ-ის მიერ შესყიდულ იქნა საკონსულტაციო მომსახურება საპილოტე პროექტების განხორციელების კვლევისა და დეტალური დიზაინების მოსამზადებლად.
10. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (აჭარის ა.რ.) მუნიციპალიტეტებისა და მთავრობის მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის შექმნის და ფუნქციონირების** აქტივობა განხორციელდა. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ჩართულობით შექმნილია რეგიონული ტრანსპორტის ორ დონიანი სამუშაო ჯგუფი: რეგიონალური სამუშაო ჯგუფი და რეგიონალური სამუშაო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან წარმომადგენლები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, აჭარის მთავრობის, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ასევე აჭარის მუნიციპალიტეტების სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფი მუშაობს აჭარის რეგიონში რეგიონული/საქალაქთაშორისო ტრანსპორტის სისტემების გამართვისა და რეგიონში ერთიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერირების გამართვისათვის საჭირო გადაწყვეტილებების შემუშავებაზე.
11. **ორგანიზაციული განვითარების სულ მცირე 2 ტექნიკური წინადადების შემუშავება** - მეტწილად განხორციელდა. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) ტექნიკური მხარდაჭერით აჭარის რეგიონში განხორციელდა სრული მგზავრობის შესწავლა, ასევე ადგილზე, სოფლებში უშუალო შეხვედრების საფუძველზე შეგროვდა მონაცემები რეგიონის სამგზავრო ტრანსპორტის ოპტიმიზაციის საჭიროებების შესახებ. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ შეიმუშავა აჭარის ერთიანი ინტეგრირებული სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციის ტექნიკური წინადადება,

რომელიც უახლოეს პერიოდში წარედგინება აჭარის რეგიონული ტრანსპორტის სამუშაო ჯგუფს. შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის შესაბამისად, საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაცია მოამზადებს რეგიონული ტრანსპორტის ორგანიზაციულ-ფინანსური მოდელის ტექნიკურ წინადადებას.


**12. კაპიტალური ინვესტიციისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტის შემუშავება** არ დაწყებულა. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის, GIZ ტექნიკური მხარდაჭერით 2025 წლის ბოლოსათვის იგეგმებოდა აჭარის რეგიონული ტრანსპორტის ორგანიზაციული განვითარების მინიმუმ 2 ტექნიკური წინადადების შემუშავება: 1. მგზავრთნაკადისა შესწავლის საფუძველზე აჭარის ერთიანი ინტეგრირებული სამარშრუტო ქსელის დაგეგმვა მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის; 2. ერთიანი სამარშრუტო ქსელის მართვისა და ოპერირების შესაბამისი ორგანიზაციულ-ფინანსური მოდელის შემუშავება. კაპიტალური ინვესტიციისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტის შემუშავებაზე აქტივობები აქტივობის შესრულება გადაიდო.

<b>გამოწვევები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>● დროში გაწელილი და კომპლექსური ინფრასტრუქტურული საკითხები, როგორც არის: საავტობუსე ხაზების დახაზვა, გაჩერებების, შუქნიშნებისა და ტაბლოების მოწყობა, ასევე მიწისქვეშა კომუნიკაციის შეცვლა/მოწესრიგება, გზის საფარის შეცვლა და ა.შ.</li> <li>● რეაბილიტაციის დაგეგმვის პროცესის კომპლექსურობა, რათა მოსახლეობისათვის მობილობის შეფერხებების გარეშე მოხდეს შესაბამისი ეტაპების დაგეგმვა.</li> <li>● თბილისში ველობილიკების მოწყობის პროცესში მოსახლეობის (ძირითად შემთხვევაში მოტორიზებული ტრანსპორტით მოსარგებლე მძღოლების) მხრიდან მოძრაობის ამ საშუალების მიმღებლობის არქონა, რაც ველოსიპედით მოსარგებლეებისათვის რიგ შემთხვევაში ქმნის უსაფრთხოების პრობლემებს, განსაკუთრებით იმ ქუჩებზე სადაც 40 კმ/სთ-ზე მაღალია მოძრაობის დაშვებული სიჩქარე. ასევე, ქალაქში არსებული ვიწრო ქუჩების სიმრავლის გამო ხშირ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის განკუთვნილი ზოლის მოწყობას. რიგ ქუჩებზე აღნიშნული ზოლი გაზიარებულია ველომოსარგებლეთათვისაც, თუმცა უსაფრთხოების გათვალისწინებით სასურველია ველობილიკები არსებობდეს საავტობუსე და სამანქანე ზოლებისგან დამოუკიდებლად.</li> <li>● აჭარაში პროექტის აქტივობები დაწყების გაჭიანურება დონორებთან გართულებული თანამშრომლობის გამო.</li> </ul>

ამოცანა 2.4. ტრანსპორტის სექტორში მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინოვაციური ინიციატივების განხორციელება

ამოცანის შედეგის ინდიკატორის 2.4.1 - ტრანსპორტის სექტორში სათბურის აირების ემისიების შემცირების მტკიცებულებებზე დაფუძნებული დამატებითი ინიციატივების რაოდენობის **მაჩვენებელი 2024-2025 წლებში, ისევე როგორც 2023 წელს იყო 1**. კერძოდ, მომზადებულია ტრანსპორტის სექტორის სათბურის აირების ემისიების შემცირების მტკიცებულებაზე დაფუძნებული ინიციატივა და საპროექტო წინადადება - "მუნიციპალიტეტთაშორისი მდგრადი ტრანსპორტი საქართველოში". **2023 წელს, აღნიშნული უტოლდებოდა 2022 წლის საშუალოვადიან**

სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა ამჟამად ჩამორჩება 2024 წლის სამიზნე მაჩვენებელს. ის საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის მხოლოდ 20%-ს შეადგენს.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 2.4.1.:** საგზაო ტვირთის სარკინიგზოზე გადატანის მიზნით საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მომზადება და განხორციელებადობის შესწავლა.
2. **აქტივობა 2.4.2.:** ქალაქ ქუთაისის სივრცითი განვითარების დოკუმენტის შემუშავება.

აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის **ტექნიკური ანალიზის დოკუმენტის შემუშავება** სრულად შესრულდა. საგზაო ტვირთის სარკინიგზოზე გადატანის მიზნით საუკეთესო შესაძლებლობების გამოვლენისთვის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი მომზადებულია. დოკუმენტის

მომზადება განხორციელდა GIZ - ის ფინანსური მხარდაჭერითა და კოორდინაციით. დოკუმენტის მომზადებაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.


2. 2026 წლამდე ქალაქის სივრცითი განვითარების დოკუმენტი შემუშავება ქალაქ ქუთაისისთვის - ქალაქ ქუთაისის სივრცითი განვითარების დოკუმენტის სამუშაო ვერსია შემუშავებულია, თუმცა არ არის განსაზღვრული დამტკიცების ვადები.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>ქუთაისის მუნიციპალიტეტთან მონაცემების მოწოდების თაობაზე კოორდინაციის სირთულეები.</li> </ul>

### შენობების სექტორი

ამოცანა 3.1. შენობის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სისტემის შექმნა

ამოცანის შედეგის ინდიკატორის 3.1.1 - კანონის შესაბამისად, სერტიფიცირებას დაქვემდებარებული ყოველი ახალი აშენებული შენობის პროცენტული წილი, რომელიც ენერგოეფექტურობაზეა სერტიფიცირებული, მაჩვენებელი 2024-2025 წლებში, ისევე როგორც 2023 წელს, დარჩა 0, რადგან ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების მომზადებული წესის დამტკიცება ჯერ არ მომხდარა. შენობების ენერგოეფექტურობაზე სერტიფიცირების დასაწყებად საჭიროა შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესის დამტკიცება. მომზადებულია აღნიშნული წესის საბოლოო სამუშაო ვერსია, EU/KfW-ის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, რომელიც 2025 წელს წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 3.1.1.1.:** შენობების მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების და სერტიფიცირების აღსრულების შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის შემუშავება.
2. **აქტივობა 3.1.1.2.:** შენობების ენერგოეფექტურობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შექმნა და დამტკიცება.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. ნაწილობრივ შესრულდა **პროგრამის შემუშავება, რომელიც შეთანხმებულია მუნიციპალიტეტების მერიებთან**. ეროვნული პროგრამა უკვე არსებობს, საჭიროა მისთვის სერტიფიცირების ფუნქციების დამატება. პროგრამების დანერგვამდე საჭიროა ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესის დამტკიცება. ამ ეტაპზე მომზადებულია წესის სამუშაო ვერსია, დამტკიცებამდე საჭიროა მის ჩართულ მხარეებთან განხილვა და საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება. წესის დამტკიცების შემდგომ პროგრამას დაემატება სერტიფიცირების ფუნქციებიც. ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესი მუშავდება შენობების ენერგოეფექტურობის კანონის შესაბამისად. აღნიშნულ პროცესში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დახმარებას უწევს საერთაშორისო კომპანია GOPA, ევროკავშირისა და KFW-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში.
2. **2025 წლის 30 ივნისამდე თითქმის ნულოვანი ენერგომომხმარების შენობების რაოდენობის გაზრდის ეროვნული გეგმის დამტკიცება** ნაწილობრივ შესრულდა. დოკუმენტის მომზადება ჯერ საწყის ეტაპზეა, მომზადებულია გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, რომლის განხილვაც უნდა მოხდეს ჩართულ მხარეებთან, რის შედეგაც მოხდება დოკუმენტის განახლება. გეგმა მუშავდება შენობების ენერგოეფექტურობის კანონის შესაბამისად. აღნიშნულ პროცესში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დახმარებას უწევს საერთაშორისო კომპანია GOPA, ევროკავშირისა და KFW-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში.


გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"><li>• დროის სიმცირე.</li></ul>

- ადამიანური და ტექნიკური რესურსის საჭიროება, სხვადასხვა ექსპერტების აქტიური ჩართულობა.
- ფართო აუდიტორიებთან მუშაობა, საჯარო განხილვები და მიღების დროში გადავადება

ამოცანა 3.2. მომხმარებლის ინფორმირებულობის ამაღლება ენერგოეფექტურობის თაობაზე

2024-2025 წლებში არ შეცვლილა ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1. იმ მომხმარებელთა პროცენტული წილი, რომლებიც შენობებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების ენერგოეფექტურობას ასახელებენ სამომხმარებლო გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ფაქტორად.

მომხმარებელთა მიერ ენერგოეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაზე დიდი გავლენა უნდა იქონიოს ენერგოეტიკტირების ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცებამ და ამოქმედებამ, რაც დაგეგმილია 2025 წლის 31 დეკემბრიდან. შესაბამისად, სანამ არ ამოქმედდება 14-ივე რეგლამენტი, იქამდე ინდიკატორის მიღწევა რთულია.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 3.2.1.:** მოწყობილობებისთვის საჭირო ევროპული სტანდარტების შესაბამისი სქემების სტანდარტების სახელმძღვანელო დოკუმენტების, ნორმების და მარკირებების (ეტიკეტირების) გადმოტანა.
2. **აქტივობა 3.2.2.:** ენერგოეფექტურობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის პროგრამების განხორციელება.
3. **აქტივობა 3.2.3.:** „ვარვარა“ ნათურებთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.
4. **აქტივობა 3.2.4.:** მზის ენერჯით წყლის გაცხელების შესახებ საინფორმაციო კამპანიების განხორციელება.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. განხორციელდა ინდიკატორი - **2026 წლამდე შექმნილია საყოფაცხოვრებო ტექნიკის ენერგოეფექტურობისთვის ხელშემწყობი 9 სქემა, რომლებიც ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო კომპანიების მოსაზრებებს და სრულად შეესაბამება 2017/1369 EU რეგულაციას.** გეგმა გადაჭარბებულად შესრულდა - 9-ის ნაცვლად დამტკიცდა 14. 2024 წლის ბოლო კვარტალში დამტკიცდა 14 ენერგოეტიკეტირების სქემა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკისთვის, ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. ესენია: საყოფაცხოვრებო მოხმარების ჭურჭლის სარეცხი მანქანის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; სამაცივრე მოწყობილობების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანისა და საყოფაცხოვრებო კომბინირებული სარეცხ-საშრობი მანქანის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე ელექტრონული ეკრანების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; ჰაერის კონდიციონერის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; საყოფაცხოვრებო სივრცის გამათბობლების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; მყარი საწვავის ბოილერის; და მყარი საწვავის ბოილერის, დამატებითი გამათბობლების, ტემპერატურის მარეგულირებლებისა და მზის პანელების კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; წყლის გამათბობლის; ცხელი წყლის შემნახველი ავზის; და წყლის გამათბობლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; სივრცის გამათბობლის; კომბინირებული გამათბობლის; სივრცის გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების; და კომბინირებული გამათბობლის, ტემპერატურის მარეგულირებლისა და მზის პანელის კომპლექტების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; სინათლის წყაროების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; საყოფაცხოვრებო სავენტილაციო ერთეულების ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; პროფესიული სამაცივრო-შესანახი კამერის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; საყოფაცხოვრებო მოხმარების სამზარეულო ღუმლისა და გამწოვის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე; საყოფაცხოვრებო მოხმარების საშრობი მანქანის ენერგოეტიკეტირების წესის თაობაზე.
2. ენერგოეფექტურობის შესახებ **2026 წლამდე საინფორმაციო კამპანიის ჩატარება** ნაწილობრივ შესრულდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის” ფარგლებში გაიმართა რეგიონული

საგანმანათლებლო და ცნობადობის ამალღების კამპანიები ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მედიკარტინორებთან თანამშრომლობით, პროექტმა განახორციელა ფართომასშტაბიანი ცნობადობის ამალღების კამპანია. 2025 წლის მარტიდან მაისამდე, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ენერგოეფექტურობის შესახებ საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამალღება და ენერჯის დაზოგვის პრაქტიკის პოპულარიზაცია.

3. **საზოგადოებრივი აზრის კვლევის განხორციელება** არ დაწყებულა, კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდება მას მერე, რაც დასრულდება დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიები.
4. **საინფორმაციო კამპანიის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების დონე გაუმჯობესებულია, სულ მცირე, 50%-ით** - განხორციელდა. რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და კომპანია GOPA Intec-თან თანამშრომლობით, “საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამას (GESRP)” 2021 წლიდან დაიწყო. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დახმარებას ენერგეტიკულ სექტორში რეფორმების განხორციელებისა და იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც საქართველოს, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყანას ეკისრება შემდეგი მიმართულებებით: ენერგოეფექტურობა, შენობების ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯების წახალისება და ენერგეტიკული ბაზარი. ამ პროგრამის ერთ-ერთი ნაწილია ცნობიერების ამალღების კამპანიები
5. **“ვარვარა” ნათურებთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის ჩატარება** ნაწილობრივ შესრულდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის” ფარგლებში გამოცხადდა ტენდერი ენერგოეფექტურობის შესახებ რეგიონალური საინფორმაციო კამპანიების შემუშავებისა და განხორციელებისთვის. კონკურსის მთავარი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამალღება ენერგო ეფექტურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ენერჯის დაზოგვის ზომების წახალისება და ენერჯის მოხმარების შემცირების მხარდაჭერა, რაც სარგებელს მოუტანს როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ასევე გარემოს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ევროკავშირისა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და კომპანია GOPA Intec-თან თანამშრომლობით, “საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამას (GESRP)” 2021 წლიდან ახორციელებდა. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დახმარებას ენერგეტიკულ სექტორში რეფორმების განხორციელებისა და იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც საქართველოს, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყანას ეკისრება შემდეგი მიმართულებებით: ენერგოეფექტურობა, შენობების ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯების წახალისება და ენერგეტიკული ბაზარი.
6. **კამპანიის ჩატარების შემდეგ საზოგადოებრივი აზრის კვლევის განხორციელება და ენერგოეფექტური ნათურების თაობაზე სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების გაზრდა, სულ მცირე, 30%-ით** არ დაწყებულა. კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდება მას მერე, რაც დასრულდება დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიები. ამ ეტაპზე კვლევის ზუსტი დეტალების არ არის ცნობილი.
7. **მზის ენერჯით წყლის გაცხელების შესახებ საინფორმაციო კამპანია** ნაწილობრივ შესრულდა. საინფორმაციო კამპანიების ასევე მოიცავდა ცნობიერების ამალღებას მზის ენერჯით წლის გახელების შესახებ, აღნიშნული საკითხი ასევე შევა დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიებშიც.
8. **კამპანიის ჩატარების შემდეგ საზოგადოებრივი აზრის კვლევის განხორციელება და მზის ენერჯით წყლის გაცხელების შესახებ სამიზნე აუდიტორიის ცნობიერების გაზრდა, სულ მცირე, 50%-ით** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ევროკავშირისა და

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერითა და კომპანია GOPA Intec-თან თანამშრომლობით, “საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამას (GESRP)” 2021 წლიდან ახორციელებდა. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დახმარებას ენერგეტიკულ სექტორში რეფორმების განხორციელებისა და იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც საქართველოს, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყანას ეკისრება. პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი, სწორედ ცნობიერების ამაღლებაა.


გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● რეგულაციების პროექტებზე დაინტერესებულ მხარეების მხრიდან მუნიციპლების/კომენტარების დროული მიღება.</li> <li>● სამიზნე აუდიტორიის სიმრავლე და კამპანიის თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარების სირთულე.</li> <li>● კვლევებისთვის საჭირო დრო სიმწირე, ადამიანური და ფულადი რესურსები.</li> </ul>


ამოცანა 3.3. საცხოვრებელ, კომერციულ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური მიდგომებისა და ენერგოეფექტური განათების დამონტაჟების წახალისება

შენობებში ენერგოეფექტური მიდგომების დანერგვის ამოცანისთვის განსაზღვრულია ორი ინდიკატორი: 3.3.1 ცენტრალური და მუნიციპალური მთავრობის მიერ დაკავებული და მფლობელობაში არსებული 500 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის შენობების რაოდენობა, რომელთა სრული ფართობის 1% განახლებულია ყოველწლიურად ენერგოეფექტურობის სტანდარტების მიხედვით, და 3.3.2 საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების პროცენტული წილი, რომლებიც ენერგოეფექტურ ნათურებს იყენებს. **არცერთი ინდიკატორის მიმართ არ დაფიქსირებულა პროგრესი მაჩვენებლების თვალსაზრისით.**

2025 წლისთვის, შექმნილია საჯარო შენობების რეესტრი 250მ<sup>2</sup>-ზე მეტი ფართობის შენობებისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საიტზე.<sup>1</sup> მიმდინარეობს რეესტრის განახლება. **2025 წელს 1% იანი განახლების ვალდებულების შესრულება მოხდა იმ დონორული პროექტების დახმარებით, რომლებიც ითვალისწინებდნენ სკოლების და ბაღების რეაბილიტაციას ენერგოეფექტურობის მოთხოვნების შესაბამისად.** ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის ცვლილებების მიხედვით 2026 წლიდან (მას შემდეგ, რაც ცვლილებები ძალაში შევა) უკვე ადმინისტრაციული შენობების 3 % დაექვემდებარება განახლებას.

<sup>1</sup> <https://www.economy.ge/?page=news&nw=2323&s=administraciuli-organos-sakutrebas-da-sargeblobashi-arsebuli-shenobebis-reestris-warmoebis-wesi-damtkicda>





რაც შეეხება მეორე ინდიკატორს, „ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის“ თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში და საჯარო სექტორში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესები და სახელმძღვანელო პრინციპები უკვე დამტკიცებულია. აღნიშნული წესის დამტკიცება განაპირობებს ენერგოეფექტური ნათურების შესყიდვას. მაგრამ **წესის ამოქმედების ვადად, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე დიდი ზეგავლენის გამო, განისაზღვრა 2027 წლის 1 იანვარი**. შესაბამისად, 2027 წლამდე ვერ მოხერხდება საჯარო შენობებში ენერგოეფექტური ნათურების წილის განსაზღვრა.

#### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 3.3.1.:** საჯარო დაწესებულების მფლობელობა/ სარგებლობაში არსებულ შენობებში ენერგოეფექტური განათების მონტაჟის ხელშეწყობა.
2. **აქტივობა 3.3.2.:** საჯარო სექტორის შენობების ენერგეტიკული მანასიათებლების სერტიფიკატის მიღების გეგმის მომზადება

3. **აქტივობა 3.3.3.:** ყველაზე ინტენსიური ენერგომომხმარების მქონე კომერციული სექტორის შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნების მიღწევის და ენერგოსერტიფიცირების მოთხოვნების შესაბამისად თანადაფინანსებით მოდერნიზაციის გეგმის შემუშავება.
4. **აქტივობა 3.3.4:** ყველაზე უფრო დიდი ემისიების მქონე საცხოვრებელი ამხანაგობების და მოწყვლადი ჯგუფების შენობების ფონდის შესწავლა და მოდერნიზაციის პროგრამის შემუშავება.

#### აქტივობების შესრულების მდგომარეობა


1. **საჯარო შენობისთვის შეძენილ ახალ ნათურებში ენერგოეფექტური ნათურების წილის 100%-მდე გაზრდა** არ დაწყებულა, ვინაიდან არ არის იდენტიფიცირებული რომელი პროექტის ფარგლებში მოხდება აღნიშნული. საჭიროა კვლევის ჩატარება, რითაც დადგინდება საჯარო შენობისთვის შეძენილ ახალ ნათურებში ენერგოეფექტური ნათურების წილი.
2. არ დაწყებულა **ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიკატის მიღების გეგმა, რომელიც მოიცავს მოდერნიზებული საჯარო შენობების ფართობს (კვ.მ), ასევე მოდერნიზებული შენობების პროცენტულ წილს შენობების რეესტრში მითითებულ მთლიან ფართობთან მიმართებაში.** გეგმის მომზადება ჯერ დაწყებული არ არის, პირველ ეტაპზე საჭირო შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესის დამტკიცება, რომელიც ამჟამად მომზადების პროცესშია, მას შემდეგ რაც წესი დამტკიცდება შესაძლებელი იქნება გეგმაზე მუშაობა. ინდიკატორის შესრულება სავარაუდოდ მოხდება საერთაშორისო კომპანია GOPA-ის დახმარებით, ევროკავშირისა და KFW-ის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში.
3. არ დაწყებულა **ყველაზე ინტენსიური ენერგომომხმარების მქონე კომერციული სექტორის შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნების მიღწევის და ენერგოსერტიფიცირების მოთხოვნების შესაბამისად თანადაფინანსებით მოდერნიზაციის გეგმის** შექმნა. გეგმის დასამტკიცებლად საჭიროა, პირველ ეტაპზე, ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესის დამტკიცება, რომელიც ამჟამად შემუშავების პროცესშია. ყველაზე ინტენსიური ენერგომომხმარების მქონე კომერციული სექტორის შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნების მიღწევის და ენერგოსერტიფიცირების მოთხოვნების შესაბამისად თანადაფინანსებით მოდერნიზაციის გეგმის შემუშავება სავარაუდოდ მოხდება საერთაშორისო კომპანია GOPA-ის დახმარებით, ევროკავშირისა და KFW-ის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში.
4. არ დაწყებულა **ყველაზე უფრო დიდი ემისიების მქონე საცხოვრებელი ამხანაგობების და მოწყვლადი ჯგუფების შენობების ფონდის ანგარიშის შექმნა.** ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა შენობების გრძელვადიანი განახლების სტრატეგიაზე, სტრატეგიამ შესაძლოა ასევე მოიცვა აღნიშნული ინდიკატორი, მიმდინარეობს მსჯელობა. შენობების გრძელვადიანი განახლების სტრატეგიაზე მუშაობა მომდინარეობს საერთაშორისო კომპანია GOPA-ის დახმარებით, ევროკავშირისა და KFW-ის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში.

5. არ დაწყებულა **შენობების მოდერნიზაციის პროგრამის შემუშავება**. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა შენობების გრძელვადიანი განახლების სტრატეგიაზე. შენობების გრძელვადიანი განახლების სტრატეგიაზე მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო კომპანია GOPA-ის დახმარებით, ევროკავშირისა და KFW-ის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● სამინისტროს ფინანსური და ადამიანური რესურსის სიმცირე, და დონორი ორგანიზაციის იდენტიფიცირება.</li> <li>● სერტიფიკატების ამოქმედებისთვის და თანადაფინანსებით მოდერნიზაციის გეგმაზე მუშაობისთვის სხვადასხვა უწყებებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა, რაც მოითხოვს დიდ დროით და ტექნიკურ რესურსებს.</li> <li>● შენობების მონაცემებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.</li> <li>● კომუნიკაცია და თანამშრომლობა სხვადასხვა უწყებებთან და ჩართულ მხარეებთან.</li> </ul>

ამოცანა 3.4. წყლის გაცხელებისთვის მზის ენერჯის და ენერგოეფექტური ღუმლების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორზე 3.4.1 - წახალისების დონისძიებების ამოქმედების შემდეგ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ინდივიდუალურ საცხოვრებელ და კომერციულ შენობებში წყლის გასათბობად შექმნილ სისტემებში მზის წყალგამაცხელებელი სისტემების პროცენტული მაჩვენებელი, **მონაცემები არ მოიპოვება**. იმისათვის, რომ მოხდეს მზის წყალგამაცხელებელ სისტემების პროცენტული მაჩვენებლის დათვლა, პირველ რიგში, საჭიროა, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება. ამ ეტაპზე, კამპანიების განსახორციელებლად მიმდინარეობს პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევა.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 3.4.1.:** შენობებში მზის ენერჯიაზე დაფუძნებული წყლის გაცხელების სისტემების ინსტალაციის მიზნით ფინანსური წახალისების მექანიზმის შემუშავება.
2. **აქტივობა 3.4.2.:** შეშის ენერგოეფექტური ღუმლების გამოყენების წახალისება.
3. **აქტივობა 3.4.3.:** ტექნოლოგიების მიწოდების და ფართოდ გამოყენების შესაძლებლობის გაზრდის პროგრამის შემუშავება ქვეყნის მასშტაბით.
4. **აქტივობა 3.4.4.:** შენობათა ფონდის ყოვლისმომცველი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის გეგმის შემუშავება.
5. **აქტივობა 3.4.5.:** შენობების ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამის შემუშავება (ორივე - მიწოდების და მოთხოვნის მხარისათვის).


აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. **ფინანსური წახალისების მექანიზმის შემოღება** ჯერ არ დაწყებულა. ამ ეტაპზე უცნობია როდის დაიწყება აღნიშნულ ინდიკატორზე მუშაობა. ასევე, უცნობია რომელი პროგრამის და პროექტის ფარგლებში მოხდება განხორციელება.
2. **საინფორმაციო კამპანია ენერგოეფექტური ღუმელებისა და დამხმარე ფინანსური მხარდაჭერის პროგრამების შესახებ** შესრულდა. განხორციელდა მრავალკომპონენტური საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებში დამზადდა 15 000 ფლაერი და 2000 ბროშურა; ასევე განთავსდა 8 ბილბორდი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის ქალაქის შესასვლელებში, ან ცენტრებში. კამპანიის ფარგლებში ასევე დამზადდა სარეკლამო ხასიათის ვიდეოკლიპი. კლიპში ხაზი გაესვა ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამის უპირატესობებს, თანადაფინანსების პირობებსა და მიღების პროცესს. კლიპი განთავსდა როგორც Facebook გვერდზე ასევე რეგიონული ტელევიზიების შემდეგ არხებზე: „გურჯაანი ტვ“, „გურია ტვ“, „თელავის თანამგზავრი“, რადიო “ჰერეთი FM”, „რადიო ვი“. კლიპის სარეკლამო კამპანია მოიცავდა 2024 წლის 20 თებერვლიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს, ჯამში 67 დღეს.
3. **ტექნოლოგიების მიწოდების და ფართოდ გამოყენების შესაძლებლობის გაზრდის პროგრამა ქვეყნის მასშტაბით** არ დაწყებულა. ამ ეტაპზე უცნობია როდის მოხდება ინდიკატორის შესრულება. ასევე, უცნობია რომელი პროგრამის და პროექტის ფარგლებში მოხდება განხორციელება.
4. **შენობათა ფონდის ყოვლისმომცველი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის გეგმის შემუშავება** მიმდინარეობს, მეტწილად შესრულდა. კერძოდ, მიმდინარეობს შენობების განახლების გრძელვადიან სტრატეგიაზე მუშაობა, რაც თავის მხრივ გულისხმობს შენობათა ფონდის კვლევას, ამ ეტაპზე შემუშავებულია გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, რომელი გაგზავნილია ჩართულ მხარეებთან კომენტარებისა და პოზიციებისთვის, შემდეგ ეტაპზე მოხდება დოკუმენტის საჯარო განხილვები, საბოლოო ვერსიის მომზადება და მისი წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის, რათა მოხდეს გამის დამტკიცება
5. **შენობების ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამის შემუშავება** არ დაწყებულა. ამ ეტაპზე უცნობია როდის დაიწყება და რას მოიცავს შენობების ენერგოეფექტური ტექნოლოგიების სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამა.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● ცალკეული აქტივობების განხორციელებაში მხარდამჭერი/დონორი ორგანიზაციის იდენტიფიცირება.</li> <li>● ენერგოეფექტური ღუმელების შესახებ ცნობადობის ნაკლებობა.</li> <li>● ფართო აუდიტორიის ჩართულობა, კონსულტაციები, დარგის ექსპერტებთან, ჩართულ მხარეებთან ასევე საჯარო განხილვების ჩატარება, რაც მოითხოვს დიდ დროით რესურსს.</li> </ul>

ამოცანა 3.5. ენერგოეფექტურობის საკითხებში მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე კადრების მომზადება

ამოცანის შედეგის ინდიკატორის 3.5.1 - შენობების გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემებისა და ელექტრომომწოდებლობების ენერგოეფექტურობის საკითხებში სერტიფიცირებული და დიპლომირებული სპეციალისტების ჯამური პროცენტული რაოდენობა, არ შეცვლილა.



"ენერგოეფექტურობის შესახებ" კანონი მე-14 მუხლის მიხედვით, **მომზადებულია პროგრამების პროექტი:** ა) მრეწველობისა და ტრანსპორტის სექტორებში მოქმედი ენერგოაუდიტორებისთვის; ბ) შენობების სექტორში მოქმედი ენერგოაუდიტორებისთვის; გ) შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების ექსპერტებისთვის; დ) შენობებში გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტორებისთვის. მომზადებულია პროგრამების საბოლოო ვერსია, რომელიც საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება. ასევე, მომზადებულია ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების წესი, რომელიც ასევე უახლოეს მომავალში წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად. აღნიშნული წესების ამოქმედების შემდგომ, მოხდება შესაბამისი ექპერტების სერტიფიცირება.

## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

- 1. აქტივობა 3.5.1:** დანერგილი სატრენინგო პროგრამების შესაბამისად ექსპერტების გადამზადება და სერტიფიცირება

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა

**ბაზარზე შემოსული ექსპერტების 100%-ის სერტიფიცირება და გადამზადების პროგრამების გავლა** არ დაწყებულა. სერტიფიცირების დაწყებისთვის და სატრენინგო პროგრამების გასავლელად საჭიროა პირველ ეტაპზე გადამზადების პროგრამების ასამოქმედებლად კანონქვემდებარე აქტების დამტკიცება. სატრენინგო პროგრამები იქნება: ა) წარმოებისა და ტრანსპორტის სექტორის ენერგოაუდიტის განმანორციელებელი პირებისთვის; ბ) შენობების ენერგოაუდიტის განმანორციელებელი პირებისთვის; გ) შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირება; დ) შენობების გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების პერიოდული ინსპექტირება. ასევე, საბოლოო ეტაპზეა "ენერგოაუდიტორების, ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების გამცემი დამოუკიდებელი ექსპერტებისა და შენობების გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების პერიოდული ინსპექტირების განმანორციელებელი დამოუკიდებელი ექსპერტების სერტიფიცირების, აგრეთვე ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების, ენერგოაუდიტისა და შენობების გათბობისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემების პერიოდული ინსპექტირების ანგარიშების შემოწმებისა და გადამოწმების წესები". აღნიშნული ორი კანონქვემდებარე აქტი უახლოს მომავალში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად, რის შემდგომაც მოხდება ექსპერტების სერტიფიცირება და იმ კადრების გადამზადება რომლებიც მოემსახურებიან ენერგოეფექტურობის სექტორს.

### გამოწვევები



- საკმარისი რაოდენობის ექსპერტების არარსებობა, რომლებიც მოემსახურებიან ენერგოეფექტურობის ბაზარს
- დროის სიმცირის გამო ჩართულ მხარეებთან (უნივერსიტეტები, აკრედიტაციის ორგანო) კოორდინაციის საჭიროება

## მრეწველობის სექტორი

ამოცანა 4.1. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, სამრეწველო პროცესებიდან და სამრეწველო ობიექტების მიერ ენერჯის მოხმარებიდან გამოწვეული სათბურის აირების ემისიის დონის შემცირება

2024-2025 წლებში არ განახლებულა მონაცემები, 2023 წელის მონაცემებით, საქართველოში ცემენტის წარმოებიდან სათბურის აირების გაფრქვევის დონე ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით შეადგენს დაახლოებით 852.11 კტ CO<sub>2</sub>-ის ეკვ. (ცდომილების 20%-იანი ინტერვალის გათვალისწინებით). საქართველოში ქიმიური მრეწველობის გათვალისწინებით სათბურის აირების გაფრქვევის დონე ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებით შეადგენს დაახლოებით 2305.99 კტ CO<sub>2</sub>-ის ეკვ. (ცდომილების 25%-იანი ინტერვალის გათვალისწინებით).

ამდენად, ჯერ კიდევ 2023 წელს, 4.1 ამოცანის ორივე ამოცანის შედეგის ინდიკატორის მიმართ დაფიქსირდა პროგრესი: **4.1.1. ცემენტის წარმოებიდან ემისიების ოდენობა (კტ CO<sub>2</sub> ეკვ.) შეადგენს დაახლოებით 852,11 კტ CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ს, ხოლო 4.1.2 ქიმიური მრეწველობიდან ემისიების ოდენობა (კტ CO<sub>2</sub> ეკვ.) შეადგენს დაახლოებით 2305,99 კტ CO<sub>2</sub>-ის ეკვ.-ს. ორივე მაჩვენებელი ნაკლები იყო როგორც საბაზისო მაჩვენებელს და 2022 წლის საშუალო ვადიან მაშვენებელთან, ისე 2023 წლის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელთან შედარებით.**



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

2. **აქტივობა 4.1.1.:** სათბურის აირების დაბალი ემისიებით აზოტის მჟავის წარმოების ხელშეწყობა.
3. **აქტივობა 4.1.2:** ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების სექტორში ელერგაზების გაუმჯობესებული აღრიცხვა.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა


1. **აზოტმჟავის სრული რაოდენობის (100%) ახალი აღჭურვილობით წარმოება** - განხორციელდა. აზოტმჟავას საამქრის აგრეგატზე ფორმირდება(გამოიყოფა) 1600 ტონა სათბურის აირი(N<sub>2</sub>O). ძველად არსებულ კატალიზატორებზე გაწმენდის შემდეგ ატმოსფეროში გაიფრქვეოდა 368 ტონა/წელიწადში N<sub>2</sub>O , რაც 109664,0 ტონა CO<sub>2</sub>-ექვივალენტია. ახალი კატალიზატორი უზრუნველყოფს, რომ გაწმენდის შემდეგ არაუმეტეს 80 ტონა/წელიწადში N<sub>2</sub>O გაიფრქვეს. რაც 23840 ტ CO<sub>2</sub> -ის ექვივალენტია. ე.ი. განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებით ემისია შემცირდა 109664 - 23840 = 85824 ტ/წელიწადში CO<sub>2</sub> ექვივალენტით. გლობალურად კი აღნიშნული კატალიზატორების დანიშნულებათა წლის განმავლობაში 1600 ტონიდან გაწმინდოს 1580 ტონა N<sub>2</sub>O, რომელიც ააშორებს გარემოს 470840,0 ტ/წელიწადში CO<sub>2</sub> ექვივალენტ სათბურის აირს.
2. სრულად განხორციელდა ინდიკატორი - **2025 წლის ანგარიშში 2 ელ. ოპერატორის მიერ მოხმარებული ელერგაზების რაოდენობის შესახებ წარმოდგენილია ინფორმაცია 2021 და 2022 წლებისთვის.** საქართველოს მე-5 ეროვნული შეტყობინების და ემისიების ინვენტარიზაციის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია 3 ელ. ოპერატორის მიერ მოხმარებული ელერგაზების რაოდენობის შესახებ 2010-2022 წლებისთვის. ინდიკატორი გადაჭარბებით შესრულდა.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"><li>● ამოცანების შედეგების ინდიკატორების თაობაზე განახლებული ინფორმაციის და მონაცემების მოძიება.</li></ul>

ამოცანა 4.2. მრეწველობის სექტორში ემისიების ფაქტორების შესწავლისა და მონაცემების მართვის სისტემის განვითარება

2024-2025 წლებში შენარჩუნდა 2023 წლის მაჩვენებელი შემდეგი ამოცანის შედეგის ინდიკატორის კუთხით: **4.2.1 - მრეწველობის რაოდენობა, რომელშიც შესწავლილია სპეციფიკური ემისიების ფაქტორები, შენარჩუნდა ორზე. 2020 წელს ეს მაჩვენებელი იყო 0, ხოლო 2022 წელს - 1.**

საბოლოო სამიზნე მაჩვენებელი (5) შესრულებულია 40%-ით. მრეწველობის 2 დარგში (ცემენტის წარმოება და ქიმიური მრეწველობა) შესწავლილია სპეციფიკური ემისიების ფაქტორები. სპეციფიკური ემისიის ფაქტორების ჩამოსაყალიბებლად შემუშავდა მეთოდოლოგია. ძირითადი მრეწველობისთვის შეირჩა ობიექტები, მათ შორის სს „რუსთავის აზოტი“ და სს „ჭაიდებერგ ცემენტი“, რომელთათვისაც ჩამოყალიბდება სპეციფიკური ემისიის ფაქტორები.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

3. აქტივობა 4.2.1.: წარმოების შესაბამისად ინდივიდუალური ემისიების ფაქტორების ჩამოყალიბება.

აქტივობების შესრულების მდგომარეობა


საქართველოს სათბურის აირების ეროვნულ ინვენტარიზაციის ანგარიშის მრეწველობის სექტორის თავში 2 წყარო-კატეგორიისთვის (სამედიცინო და საკვები მასალების ინდუსტრია) ემისიების შეფასების ახალი მეთოდოლოგიის ასახვის ინდიკატორი სრულად შესრულდა. მე-5 ეროვნული შეტყობინების მომზადების პროცესში განხორციელდა სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოხდა სამრეწველო სექტორის 2 წყარო კატეგორიისთვის - სამედიცინო და საკვები მასალების ინდუსტრია - ემისიების შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"><li>● მონაცემების შეკრების სირთულე.</li></ul>

## სოფლის მეურნეობა

ამოცანა 5.1. ნიადაგის და საძოვრების მდგრადი მართვა და შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორად განსაზღვრულია 5.1.1 - ექსტენციის ცენტრებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინფორმირებულ ფერმერებს შორის მათი პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ გაუმჯობესებული ინფორმაცია შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკის და ნიადაგის მდგრადი მართვის შესახებ. **2024-2025 წლებში, სამიზნე კონტინგენტის ფერმერთა 25%-მა გაიმჯობესა ცოდნა.** ექსტენციის ცენტრების მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია (ბუკლეტების სახით) შინაური ცხოველების კვების მდგრადი პრაქტიკის და ნიადაგის მდგრადი მართვის შესახებ.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

1. **აქტივობა 5.1.1.:** მსხვილფენა რქოსანი პირუტყვის ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების მიზნით, საკვები რაციონის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება და სარეკომენდაციო კამპანიის წარმოება.
2. **აქტივობა 5.1.2.:** კანონმდებლობის შემუშავება საძოვრების პროდუქტიულობის გაზრდისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით.
3. **აქტივობა 5.1.3.:** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია და მდგრადი მართვა კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული მიწის დეგრადაციის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.
4. **აქტივობა 5.1.4.:** კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე ქარსაფარი ზოლების გაშენებისა და მოვლისათვის წახალისების მექანიზმების შემუშავება „დანერგე მომავალი“ პროგრამის ფარგლებში.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა


1. ინდიკატორი შესრულდა - **2026 წლამდე შემუშავებულია მსხვილფენა რქოსანი პირუტყვისათვის საკვების შერჩევის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მინიმუმ 5 ალტერნატიული საკვებდანამატის/საშუალების შესახებ, რომლებიც შეამცირებს სათბური აირების გამოყოფას და ხელმისაწვდომი და ხარჯთეფექტიანი იქნება საქართველოში გამოსაყენებლად.** 2024-2025 წლებში მიმდინარეობდა მსხ. რქ. პირუტყვის საკვების შეცვლის მეთოდოლოგიის შემუშავება, მსხ. რქ. პირუტყვისათვის ენტერული (ნაწლავური) ფერმენტაციის შედეგად წარმოქმნილი ემისიების შემცირების მიზნით. ცდის ჩატარება განსაზღვრული იყო 18 საკვებ-კომპონენტზე. აქედან 9 საკვებ-დანამატზე ჩატარდა ცდები და მიღებულია გარკვეული შედეგი. ასევე მიმდინარეობდა მცოხნავ ცხოველთა ახალი ტიპის საკვების რეცეპტის შემუშავება და ცხოველისათვის მიწოდების დოზების შედგენა. ცდა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. განთიადის სასელექციო სადგურში არსებული კავკასიური წაბლა ჯიშის სულადობაზე. კვლევები დაყენებულია გორის რაიონის 6 ფერმაში.
2. **2025 წლისთვის ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტის შემუშავება** მეტწილად შესრულდა. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა საქართველოში დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში მომზადდა „საძოვრების მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ საფუძველზე საქართველოს კანონის პროექტი „საძოვრების მართვის შესახებ“, რომელშიც ასახულია საძოვრების მდგრადი მართვის საერთაშორისო პრინციპები და ინტეგრირებულია ეროვნულ რეალობასა და ტრადიციებთან.

3. 2026 წლისთვის ინვენტარიზებულია დაახლოებით 5,000 ჰა-მდე ფართობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლები - განხორციელდა. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში, ინვენტარიზებულია ქარსაფარი ზოლები 18 მუნიციპალიტეტში მათ შორის: მცხეთის, გორის, ხაშურის, თიანეთის, ბორჯომის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ახმეტის, სიღნაღისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში.
4. 2026 წლამდე პროგრამაში „დანერგე მომავალი“ დამატებულია ქარსაფარი ზოლების კომპონენტი ნაწილობრივ შესრულდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან თუ როგორ და რა სახით შეიძლება „დანერგე მომავალი“ პროგრამაში ქარსაფარი კომპონენტის დამატება.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● ცდომილების მაღალი ალბათობა სათბური აირების გაზომვებში.</li> <li>● კანონპროექტის შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან, საქართველოს პარლამენტში მის წარდგენამდე</li> <li>● დამატებითი დაფინანსების საჭიროება.</li> <li>● დაინტერესებული მხარეების შეუთანხმებლობა ქარსაფარების მოწყობის გზების თაობაზე.</li> <li>● დამატებითი დაფინანსების საჭიროება კერძო სექტორისთვის ცნობიერების ამაღლების ქმედებების გატარების კუთხით.</li> </ul>

ამოცანა 5.2. სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული მიდგომების შემუშავებისთვის კვლევითი მტკიცებულებების შექმნის შესაძლებლობის განვითარება

2024-2025 წლებში ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზზე და სხვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლიმატგონივრული ტექნოლოგიებისა და/ან ინიციატივების წილმა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო და დონორების პროგრამებში შეადგინა 10%, რაც უტოლდება 2022 წლის საშუალოვადიანი მაჩვენებელს, ჩამორჩება 2024 წლის მაჩვენებელს (30%) და საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის 16.7%-ს შეადგენს. დონორულ პროგრამებში შემუშავებულია და ხორციელდება ხარჯსარგებლიანობის კრიტერიუმები კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის (CSA) პრაქტიკის დანერგვისას, ისეთი როგორცაა სარგებლის ზრდა, წყლის რესურსების მოხმარების შემცირება.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

- აქტივობა 5.2.1.:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გეგმის შემუშავება განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ს) შესასრულებლად.
- აქტივობა 5.2.2.:** ხარჯ-სარგებლიანობისა და განხორციელებადობის კვლევების ჩატარება, მსხვილფენა რქოსანი პირუტყვის სადგომებში ნაკელის სეპარაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის პრაქტიკების შესახებ.
- აქტივობა 5.2.3:** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების გაიჯარების პროცესისა და საიჯარო პირობების მონიტორინგის პროცესების ხელშეწყობა საძოვრების მდგრადად მართვის პრაქტიკის დანერგვის, გადაძოვების ინტენსივობის შემცირებისა და ამით მიწების დეგრადაციის შეჩერების მიზნით.
- აქტივობა 5.2.4:** სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა შემდეგი მიმართულებებით: ნაკელის გამოყენების ოპტიმიზაციის პრაქტიკები N2O-ის ემისიების შესამცირებლად და თესლბრუნვაში საფარი კულტურებისა და სიდერატების ჩართვა.

5. **აქტივობა 5.2.5.:** კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვის ხელშეწყობა ფერმერებისთვის კლიმატური მომსახურებების შეთავაზებით, ექსტენციისა და ცნობიერების ამაღლების მეშვეობით.
6. **აქტივობა 5.2.6:** კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დიალოგის ხელშეწყობა.

აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გეგმის შემუშავება განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC-ს) შესასრულებლად. განხორციელდა - მომზადდა სამოქმედო გეგმა 4 სასოფლო სამეურნეო კულტურაზე და მეცხოველეობის ქვესექტორზე.
2. საქართველოს მასშტაბით მინიმუმ 20 ფერმაში (მ.შ. ქალების მფლობელობაში არსებულ ფერმებში) ნაკელის საცავისა და მდგრადი მართვის სადემონსტრაციო ობიექტების მოწყობა ნაწილობრივ შესრულდა. 6 ფერმაში დაიწყო კვლევები ნაკელის მართვის მიმართულებით. ცდის დასაწყისში აღებული იყო ფეკალიის ნიმუში, რომელზეც ჩატარდა მიკრობიოლოგიური კვლევა, დადგინდა ფეკალური მიკროფლორის ზოგადი შემადგენლობა და რაოდენობრივი მაჩვენებელი; ახალი საკვების მიწოდების შემდგომ პერიოდულად ჩატარებულმა მიკრობიოლოგიურმა ანალიზებმა დაადასტურა მეთანოგენი ბაქტერიების რაოდენობრივი შემცირება; თანმხლებ ფაქტორად დაფიქსირდა საცდელი ცხოველების ზოგადი ფიზიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის ზრდა; გორის რაიონის 6 ფერმაში დაიწყო კვლევები ნაკელის მართვის მიმართულებით. 5 ფერმაში მოეწყო ნაკელის მართვის სადემონსტრაციო ობიექტი.
3. ინდიკატორი 2024-2025 წლებში იჯარით გაცემული და მდგრადად მართული საძოვრების ფართობი სულ მცირე 10,000 ჰექტარს შეადგენს (მ.შ. საიჯარო ხელშეკრულებები გაცემულია ქალებზე) განხორციელდა. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში 2024-2025 წლებში გაიცა 119 ერთეული საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთი.
4. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სულ მცირე 2 სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა საფარი კულტურებისა და სიდერატების გამოსაცდელად სრულად განხორციელდა. აღნიშნული აქტივობა განხორციელდა ევროკავშირის პროექტის - “გარემოს დაცვის მხარდაჭერა და კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა საქართველოში”. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი მოიცავდა საქართველოში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკების დამკვიდრებას. სწორედ ამ კომპონენტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთში მოეწყო საფარი კულტურებისა და სიდერატების 2 სადემონსტრაციო ნაკვეთი. 2024 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ფერმერების ვიზიტი განხორციელდა აღნიშნულ სადემონსტრაციო ნაკვეთებში მათი ცნობიერების ასამაღლებლად და იმის საჩვენებლად, თუ რა დადებითი მხარეები აქვს საფარი კულტურებისა და სიდერატების გამოყენებას.
5. კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში სულ მცირე 15 აგრომეტეოროლოგიური სადგურის დამონტაჟება - განხორციელდა. აქტივობის განხორციელება დასრულდა. შექმნილ და დამონტაჟებულ იქნა 9 ახალი მეტეოროლოგიური სადგური და 1 სხვადასხვა მავნე მწერების (პროექტის პარამატრების ცვლილების გამო შეიცვალა სადგურების რაოდენობა) დისტანციური მონიტორინგის სისტემა.


6. ინდიკატორი 2026 წლამდე შემუშავებულია და ამუშავებულია შესაბამისი მობილური აპლიკაცია - განხორციელდა. შეიქმნა კლიმატზე დაფუძნებული სერვისების მიწოდების სისტემა, რომელიც ფერმერებისათვის სოფლის განვითარების სააგენტოს შესაბამისი მობილური აპლიკაციის საშუალებით, ინფორმაციას აწვდის ბუნებრივ საფრთხეებზე, დაავადებების გავრცელებასა და ირიგაციის მენეჯმენტზე. აპლიკაცია დამატებით მოიცავს ავტომატურად განახლებად ყოველკვირეულ, ყოველთვიურ და სეზონურ ბიულეტენებს, ასევე ამინდის მოკლევადიან და გრძელვადიან (სეზონურ) პროგნოზებს.
7. 3 ტრენინგ მოდულის განხორციელება ფერმერებისთვის კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის შესახებ განხორციელდა - ა 3 ტრენინგ მოდული FAO-ს მიერ განხორციელებული პროექტის (სტრატეგიული მზაობა საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განსახორციელებლად და კლიმატის მდგრადობის მისაღწევად) ფარგლებში.
8. კონსერვაციული სოფლის მეურნეობის მიდგომების გამოყენებით 2000 ჰექტარის დამუშავება განხორციელდა - კონსერვაციული სოფლის მეურნეობის მიდგომების გამოყენებით სამცხე-ჯავახეთში საპილოტე პროექტის სახით დამუშავებულია 2000 ჰექტარი.
9. 2000 ფერმერის დატრენინგება წყლის გამოყენების კარგ პრაქტიკებზე - მეტწილად შესრულდა. FAO-ს პროექტის ფარგლებში სხვადასხვა მოდულის შესაბამისად დატრენინგდა 1105 ფერმერი.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● სხვადასხვა დონორული პროექტის ფარგლებში მიმდინარე მკვეთარი აქტივობების იდენტიფიცირება და სინერგია, რესურსის დაზოგვისა და დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.</li> <li>● დაურეგისტრირებული და უკატეგორიო საძოვრების მაღალი ხვედრითი წილი, რის გამოც ვერ ხერხდება მათი პროგრამაში ჩართვა; საძოვრების იჯარით გაცემის საკითხის მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებისას, გაიჯარებაზე მათი უარყოფითი პოზიციების მაღალი ხვედრითი წილი; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დეგრადირებული საძოვრები (გატყვევებული, გაბუჩქნარებული და სხვა)</li> <li>● დონორის მიერ დაკორექტირდა ბიუჯეტი, რის გამოც შემცირდა აქტივობის განხორციელების მასშტაბი.</li> <li>● ფინანსური და ადამიანური რესურსი.</li> <li>● ახალი აპლიკაციის პოპულარიზაცია, რაც ასევე დამატებით ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული.</li> <li>● დონორული პროექტის ცალკეული კომპონენტის დაწყების გაჭიანურება</li> </ul>

## ნარჩენების სექტორი

ამოცანა 6.1. არსებული უნებართვო, სტიქიური და არასახიფათო ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება

ამოცანის შედეგის ინდიკატორია 6.1.1 - ნაგავსაყრელებიდან ემისიების რაოდენობა (გგ CO2 ეკვ.). ნაგავსაყრელიდან ემისიების შესახებ მონაცემების ბოლო წელი არის 2017 წლის. **საანგარიშო პერიოდისთვის კვლევა არ განხორციელებულა და შესაბამისად მონაცემი არ მოიპოვება.**



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

**აქტივობა 6.1.1.:** ოფიციალური არსებული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების დახურვა.

**აქტივობა 6.1.2.:** სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და დახურვა.

**აქტივობა 6.1.3.:** რეგიონული არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა.

**აქტივობა 6.1.4.:** თბილისის ნაგავსაყრელის განახლება და გაუმჯობესება.

**აქტივობა 6.1.5.:** ქ. ფოთის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე აირების მართვის სისტემის მოწყობა.

**აქტივობა 6.1.6.:** ბათუმის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე აირების მართვის სისტემის მოწყობა.

#### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

- 1. 4 არსებული ნაგავსაყრელის დახურვა** - მეტწილად შესრულდა. დახურულია 3 ნაგავსაყრელი (თიანეთში, რუსთავსა და ონში) და მიმდინარეობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დახურვის შეთანხმება; გაფორმებულია ხელშეკრულებების ზუგდიდისა და ფოთის არსებული ნაგავსაყრელების დახურვის შესახებ.
- 2. 63 მუნიციპალიტეტში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაციის ჩატარება და შესაბამისი ინვენტარიზაციის ანგარიშების მოწოდება** მეტწილად შესრულდა. სტიქიური ნაგავსაყრელები ინვენტარიზაცია ხდება მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებულ ნარჩენების მართვის გეგმის ფარგლებში. ამ ეტაპზე ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებული აქვს 54 მუნიციპალიტეტს და შესაბამისად ამ მუნიციპალიტეტების მიერ იდენტიფიცირებულია მათ ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელები.
- 3. იდენტიფიცირებული სტიქიური ნაგავსაყრელების 100%-ის დასუფთავება/დახურვა** ნაწილობრივ შესრულდა და მიმდინარეობს. დახურულია/დასუფთავებულია 3 სტიქიური ნაგავსაყრელი, რაც დღეისთვის იდენტიფიცირებული სტიქიური ნაგავსაყრელების დაახლოებით 20%-ს წარმადგენს.
- 4. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა** ნაწილობრივ შესრულდა. მიმდინარეობს 1 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა. კონტრაქტორის მიერ დასრულდა სამობილიზაციო სამუშაოები, მიმდინარეობს საველე კვლევები (გეოტექნიკური კვლევები, ლაბორატორიული კვლევები, ტოპოგრაფია და ა.შ.). დაწყებულია ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის მიწის სამუშაოების შესრულება (ნაყოფიერი მიწის მოჭრა და ტერიტორიის ბუჩქნარისგან გასუფთავება). მოეწყო მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქუბი.
- 5. სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში ნარჩენების გადამტვირთი 3 სადგურის მოწყობა** ნაწილობრივ შესრულდა. მიმდინარეობს 2 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მშენებლობის სატენდერო პროცედურები. პროექტში განხორციელდა ცვლილება, დაგეგმილია 2 ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის აშენება ნაცვლად სამისა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის წერილობითი თხოვნის საფუძველზე და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან შეთანხმებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გადამტვირთავი სადგურის მშენებლობა აღარ განხორციელდება პროექტის ფარგლებში. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი თავად უზრუნველყოფს ნარჩენების გადაზიდვას ახალ ობიექტზე.
- 6. ქვემო ქართლის არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა** მეტწილად შესრულდა. მიმდინარეობს 1 ახალი რეგიონალური არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა. დასრულდა ნარჩენების განთავსების უჯრედების ფსკერის საინჟინერო სისტემის მოწყობა, გამონაჟონის გამწმენდი ნაგებობის დიზაინის შეთანხმება და მომწოდებელი კომპანიის

შერჩევა, დაიწყო გამწმენდი ნაგებობის და გაზის შემკრები სისტემის მოწყობა. დაიწყო ობიექტის ადმინისტრაციული და დამხმარე შენობა-ნაგებობების, ასევე მისასვლელი გზის მშენებლობა.


7. **ქ. თბილისის ნაგავსაყრელის გაფართოება მე-3 უჯრედის ხარჯზე** განხორციელდა. განხორციელდა მე-3 უჯრედის დასავლეთის მიმართულებით design build-ის (პროექტირება-მშენებლობა) მეთოდით გაფართოების სამშენებლო სამუშაოები. ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, წარმოიშვა მე-3 უჯრედის დაუყოვნებლივ გაფართოების აუცილებლობა, ვინაიდან, მე-3 უჯრედის არსებული რესურსი ნარჩენების განსათავსებლად თითქმის სრულად ამოწურული იყო.
8. **ახალი მე-4 უჯრედი, ნაგავსაყრელზე აირების შემკრები სისტემის მოწყობა** მეტწილად შესრულდა. მე-4 უჯრედის მოწყობა/მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მოწყობილია 10ჰა სიდიდის ტერიტორია. დარჩენილია მხოლოდ წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. გაწმენდილი სისტემის მოწყობა - ამ ეტაპზე, გამოცხადებულია საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ტენდერი და მიმდინარეობს კანდიდატთა გადარჩევა.
9. **ნაგავსაყრელზე გამონაჟონი წყლების მართვის სისტემის მოწყობა** ნაწილობრივ შესრულდა. პროექტის მოცემული კომპონენტის ფარგლებში გამოცხადებულია საპროექტო და სამშენებლო ტენდერი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო 3-მა საერთაშორისო კომპანიამ (Mesogeos S.A., BATCO-GOL-HAMLE, LTD Gumbati Holding). პირველი ეტაპის დახურვის შემდეგ, რეგისტრირებულ მონაწილეთათვის გადაგზავნილი იქნა დამატებითი შეკითხვები. პასუხების მიღების შემდეგ, ჩატარდა დამასუსტებელი შეხვედრები დისტანციურად. 2024 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში, კონსულტანტი, შემფასებელ კომისიასთან ერთად, აქტიურად მუშაობდა პირველი ეტაპის შეფასების ანგარიშზე, რომელიც 2024 წლის 24 დეკემბერს იქნა მიწოდებული ბანკისთვის NO-ს მისაღებად. შეფასების ანგარიშის შესაბამისად, მეორე ეტაპზე მოწვევა გადაგზავნებათ ორ კომპანიას (Mesogeos S.A. and Gumbati Holding Ltd). ამდენად, გამარჯვებული კომპანიის შერჩევა/დაკონტრაქტება იგეგმება 2025 წლის პირველ კვარტალში.
10. **მასალების აღმდგენი ობიექტის (MRF) მოწყობა** ნაწილობრივ შესრულდა. ამ ეტაპზე, გამოცხადებულია საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის ტენდერი და მიმდინარეობს კანდიდატთა გადარჩევა. 2024 წლის 20 თებერვალს, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს „თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტი“.
11. **ქ. ფოთის ნაგავსაყრელზე აირების გადამამუშავებელი სისტემის მოწყობა** ნაწილობრივ შესრულდა. მიმდინარეობს ფოთის ნაგავსაყრელის დახურვის სატენდერო პროცედურები. აირების გადამამუშავებელი სისტემა მოეწყობა ქ. ფოთის ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოების ფარგლებში. ხელშეკრულება გაფორმებულია მშენებელთან.
12. **ბათუმის ახალ ნაგავსაყრელზე აირების შეგროვებისა და გადამამუშავების სისტემის - 1 მგვტ სიმძლავრის გაზის ექსტრაქციის სისტემის ამოქმედება** აირების შეგროვებისა და გადამამუშავების სისტემა ახალ სანიტარულ ნაგავსაყრელ პოლიგონზე მოწყობილია, მაგრამ ობიექტი ოპერირებაში ჯერჯერობით არ არის და შესაბამისად, სისტემა ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს.

### გამოწვევები

- ზუგდიდისა და ფოთის ნაგავსაყრელების დახურვა დამოკიდებულია ზუგდიდში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის დასრულებაზე, ასევე ფოთის არსებული ნაგავსაყრელის დახურვის ტენდერის წარმატებით განხორციელებაზე. ზუგდიდის ახალი ნარჩენების განთავსების ობიექტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2024 წლის ივლისში და ახალი ობიექტის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2025 წლის მეორე ნახევარში. ფოთის და ზუგდიდის არსებული ნაგავსაყრელების დახურვა დაგეგმილია 2026 წლის მეორე ნახევარში.
- ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობა. მუნიციპალიტეტებიდან ინფორმაციის მიღება, რადგან მათ არ აქვთ ვალდებულება ანგარიშგება აწარმოონ ნარჩენების მართვის შესახებ ეროვნულ უწყებებთან.
- ობიექტის მშენებლობის დროული დასრულება სამშენებლო კომპანიის მიერ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის: ამინდი, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს ასაღები ნებართვები და რესურსების მობილიზაციის შეფერხება.
- მე-4 უჯრედთან დაკავშირებით ნებართვის მოპოვებისა და მშენებლობის პროცედურის კომპლექსურობა.
- საპროექტო და სამშენებლო ტენდერის ხელშეორედ ჩატარების საჭიროება.
- სატენდერო პროცედურების დროული დასრულება. საკონსულტაციო და სამშენებლო კომპანიების მიერ სამუშაოების დროული დასრულება.

### ამოცანა 6.2. ნარჩენების გადამუშავების ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორის 6.2.1 - ნარჩენების გადამუშავების შედეგად შემცირებული ემისიების რაოდენობა (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.) საანგარიშო პერიოდისთვის კვლევა არ განხორციელებულა და შესაბამისად მონაცემი არ მოიპოვება ნარჩენების გადამუშავების შედეგად შემცირებული ემისიების რაოდენობის (გგ CO<sub>2</sub> ეკვ.) თაობაზე. 2022 წელს შემცირება უნდა ყოფილიყო 10 გგ CO<sub>2</sub> ეკვ., ხოლო 2024 წლის საშუალოვადიანი სამიზნე მაჩვენებელია 40 გგ CO<sub>2</sub> ეკვ. საანგარიშო პერიოდისთვის კვლევა არ განხორციელებულა და შესაბამისად მონაცემი არ მოიპოვება.



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. **აქტივობა 6.2.1.:** მუნიციპალიტეტების მიერ ქაღალდის ნარჩენების წყაროსთან სეპარირების პრაქტიკის დანერგვა და ქაღალდის რეციკლირების წახალისება.
2. **აქტივობა 6.2.2.:** მუნიციპალიტეტების მიერ ბიოდეგრადირებადი (ორგანული და ბადის) ნარჩენების გადამუშავება.
3. **აქტივობა 6.2.3:** ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის საჭიროებების შეფასება
4. **აქტივობა 6.2.4.:** პლასტიკის ნარჩენების ნაკადების შეფასება
5. **აქტივობა 6.2.5.:** ნარჩენების მართვის შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება.

აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. ქალაქის წყაროსთან სეპარირების საპილოტე პრაქტიკის, სულ მცირე, 5 ახალ მუნიციპალიტეტში დანერგვა მეტწილად შესრულდა. თბილისსა და ბათუმის გარდა, სეპარირება ნაწილობრივ დაწყებულია ქუთაისში, ზუგდიდსა და სენაკში. თბილისსა და ბათუმის გარდა სეპარირება ნაწილობრივ დაწყებულია ქუთაისში, ზუგდიდსა და სენაკში. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისად ტექნიკური რეგლამენტის მიღება და მისი აღსრულება ხელს შეუწყობს აღნიშნული სეპარირებული შერეობების სისტემების ეფექტურ დანერგვას.
2. საინფორმაციო ბროშურა და ვიდეორგოლის მომზადება არ დაწყებულა. მუნიციპალიტეტს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახული უნდა იყოს მათ შორის ინფორმაცია სეპარირებასთან დაკავშირებით.
3. ქუთაისის მუნიციპალური კომპოსტირების საწარმოში ყოველწლიურად მიღებული 15 ტონა კომპოსტის ჯამური რაოდენობა მეტწილად შესრულებულია. 2024 წლის განმავლობაში ქ. ქუთაისში ააიპ "სპეციალური სერვისები"-ს მიერ მიღებული იქნა 27 ტონა მზა კომპოსტი. ააიპ "სპეციალური სერვისები" ექვემდებარება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა მუნიციპალურ სერვისებს, მათ შორის ერთ-ერთი სერვისი არის ქალაქის ტერიტორიიდან შეაგროვოს საკომპოსტე ნედლეული/ნარჩენი რის შემდეგაც ხდება მისი დამუშავება და მზა კომპოსტის მიღება. მზა კომპოსტის მისაღებად გაწეული ხარჯების ცალკე დიფერენცირება არ ხდება, ვინაიდან აღნიშნული პროცესი სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის/მომსახურების განუყოფელი ნაწილია. 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებულია/გადაამუშავდა 340,62 კუბური მეტრი მწვანე საკომპოსტე ნედლეული. ხოლო 2025 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული იქნა 71,2 ტონა მზა სასუქი/კომპოსტი, რომელიც განკუთვნილია სამომავლოდ სარეალიზაციოდ.
4. მარნეულის მუნიციპალური კომპოსტირების საწარმოში ყოველწლიურად მიღებული 50 ტონას კომპოსტის ჯამური რაოდენობა განხორციელდა. - მწვანე ნარჩენების კომპოსტირება მარნეულის მუნიციპალიტეტებში ხორციელდება მუნიციპალური კომპოსტირების საწარმოების მიერ. 2025 წლის მონაცემებით მიღებულ იქნა 200 ტონა კომპოსტი.
5. ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნისთვის საჭიროებების შეფასების დოკუმენტის შემუშავება არ დაწყებულა. დონორული მხარდაჭერის არ არსებობის გამო აქტივობა არ დაწყებულა.
6. პლასტიკის ნარჩენების ნაკადების შეფასების ანგარიშის შემუშავება განხორციელდა. პროექტების "პლასტიკით დაბინძურების დიაგნოსტიკა და ტექნიკური დახმარება" და "საქართველოში ერთჯერადი გამოყენების პლასტმასიდან გადასვლა ეკოლოგიურად და ფინანსურად სიცოცხლისუნარიან ალტერნატივებზე" ფარგლებში განხორციელებულია კვლევები პლასტიკის ნარჩენებთან დაკავშირებით. მათ შორის შემუშავდა პლასტიკის ნარჩენების ნაკადების შეფასების ანგარიში.
7. სულ მცირე 50 ნარჩენების მართვაში ჩართული საჯარო უწყებების თანამშრომლის გადამზადება განხორციელდა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ 2024-2025 წლებში განმავლობაში ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებისათვის პირისპირ რეჟიმში ჩატარდა ტრენინგი "სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება". აღმზრდელ-პედაგოგებმა შეისწავლეს შემდეგი საკითხები: ბიომრავალფეროვნება ჩვენ გარშემო, წყლისა და ენერჯის დაზოგვა, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში 571 პირი გადამზადდა. ასევე, სკოლის პედაგოგებისთვის დისტანციურად, Teams-ის პლატფორმის გამოყენებით, ჩატარდა 20-საათიანი ტრენინგი "გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში".


მასწავლებლებმა შეისწავლეს 8 გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხი, მათ შორის "ნარჩენების მართვა". აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში 1032 მასწავლებელი გადამზადდა. 2024-2025 წლების განმავლობაში ნარჩენების მართვის თემაზე, ჯამში 1551 აღმზრდელ-პედაგოგი და სკოლის მასწავლებელი გადამზადდა (ინდიკატორი შესრულდა 3102 პროცენტით).

8. **2026 წლისთვის, სულ მცირე, 15 ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრის ჩატარება** განხორციელდა. 2024-2025 წლების განმავლობაში, ნარჩენების მართვის საკითხებზე, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ჩატარდა 17 ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრა. მათ შორის, 7 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან (136 მონაწილე), 6 შეხვედრა სტუდენტებთან (109 მონაწილე) და 4 შეხვედრა საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან (22 მონაწილე).

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● მუნიციპალიტეტებისაგან ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს გამოწვევას. მუნიციპალიტეტებისაგან ნარჩენების მართვის გეგმაში სეპარირებული შეგროვების თაობაზე სამინისტროსთვის ინფორმაციის მიწოდება.</li> <li>● მუნიციპალიტეტებს არ აქვთ ვალდებულება, სამინისტროში წარმოადგინონ ინფორმაცია.</li> <li>● საკომპოსტე ნედლეულის/ნარჩენების მოპოვება და შემდეგ გადამუშავება მზა კომპოსტის მისაღებად არის გარკვეულ დროსთან დაკავშირებული.</li> <li>● პასუხისმგებელ უწყებასთან კომუნიკაცია და დროულად მონაცემების მიღება.</li> <li>● ცალკეულ აქტივობებზე დონორული მხარდაჭერის არ არსებობა.</li> </ul>

ამოცანა 6.3. ურბანული ჩამდინარე წყლებიდან წარმოქმნილი სათბურის აირის ემისიების შემცირება

სამოქმედო გეგმის თანახმად აღნიშნული ამოცანისთვის ჩამოყალიბებული იყო ამოცანის შედეგის ინდიკატორი **6.3.1 - ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან შემცირებული ემისიების რაოდენობა (გგ CO2 ეკვ.). პროგრესი არ ფიქსირდება**, რადგან ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე ემისიების ჩამჭერი მოწყობილობები არ ოპერირებს. **2022 წელს შემცირებული ემისიების რაოდენობა უნდა ყოფილიყო 150-ზე მეტი გგ CO2 ეკვ.** ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე ემისიების ჩამჭერი მოწყობილობები არ ოპერირებს.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. აქტივობა 6.3.1.: ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.
2. აქტივობა 6.3.2.: თბილისის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება.
3. აქტივობა 6.3.3.: ბათუმის ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება.
4. აქტივობა 6.3.4.: ქობულეთის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურზე სათბურის აირების შეგროვება და გადამუშავება.

### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. 4 ჩამდინარე წლის გამწმენდი ნაგებობის აგება განხორციელდა. დასრულდა აბასთუმნის; ფოთის,; გუდაურის და მარნეულის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.


2. არანაკლებ 4 ჩამდინარე წყლის გაწმენდილი ნაგებობის მშენებლობის შესყიდვის გამოცხადება ნაწილობრივ შესრულდა. სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია ყვარელის და მარტვილის გამწმენდი ნაგებობებზე.
3. თბილისის ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაზე აირების შეგროვების და გადამუშავების სისტემების მოწყობა, რომლებიც სრულად შესაბამება 91/271/EEC ევროპის საბჭოს დირექტივას არ დაწყებულა. აქტივობა მოიცავდა თბილისის ურბანულ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობაზე აირების შეგროვების და გადამუშავების სისტემების მოწყობის შესაძლებლობის შეფასებას (წინასწარ კვლევას). „კომპანიის“ მიერ შემუშავებულია გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მოიცავს 2 ეტაპს: ეტაპი I - მიმდინარე და მოსალოდნელი ნაკადისა და დატვირთვის დამუშავება შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში (2027-2031 წწ), რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ეტაპი II - 2037 წლისთვის მოსალოდნელი სამომავლო კონსტრუქციებისთვის ნაგებობის საჭიროებების განჭვრეტა, რაც საჭიროა საქართველოსა და EU-ს ყველაზე მკაცრ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის. კერძოდ, ახალი დამუშავების პროცესები და სტრუქტურები უნდა იქნას აგებული ეტაპი 2-სთვის წყლის, ნალექისა და ბიოგაზის ხაზებისთვის. წყალმომარაგების საქმიანობა, რომელიც მოიცავს სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის ან/და წყალარინების სისტემის ექსპლუატაციას, წარმოადგენს რეგულირებად საქმიანობას, რის ფარგლებშიც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ ხდება წყალმომარაგების ტარიფისა და „კომპანიის“ მიერ განსახორციელებელი საინვესტიციო გეგმების დამტკიცება. შესაბამისად ნებისმიერი აქტივობის განხორციელება დამოკიდებულია „კომისიის“ სატარიფო პოლიტიკაზე. „კომპანიამ“ „კომისიას“ გასულ წელს წარუდგინა გამწმენდის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების შესაბამისი საინვესტიციო გეგმა, თუმცა, „კომისიის“ მიერ სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით აღნიშნული პროექტის 2024-2026 წლების საინვესტიციო გეგმაში გათვალისწინება ვერ მოხერხდა. „კომპანიის“ მიერ 2026 წელს შემდგომი სატარიფო პერიოდისთვის (2027-2029 წ.წ) ისევ მოხდება გამწმენდის რეაბილიტაციის პროექტის პირველი ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების შესაბამისი საინვესტიციო გეგმის „კომისიისთვის“ წარდგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება 2027 წლიდან „პროექტით“ განსაზღვრული სამუშაოების დაწყება. მოვლენების შემდგომი განვითარება დამოკიდებული იქნება „კომისიის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.
4. ბათუმის ურბანულ ჩამდინარე გამწმენდი ნაგებობაზე აირების შეგროვების და გადამუშავების სისტემის მოწყობა არ დაწყებულა. ჯერ არ დაწყებულა და დაიწყება 5 ფაზის ფარგლებში, რადგან გამწმენდი ნაგებობის გაფართოება, კვლევები და პროექტირება არ დასრულებულა. პროექტირებაზე მუშაობს უცხოური კომპანიები.
5. ქობულეთის გამწმენდი ნაგებობაზე აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემები მოწყობა, რომლებიც სრულად შესაბამება 91/271/EEC ევროპის საბჭოს დირექტივას - განხორციელდა. ქობულეთის გამწმენდი ნაგებობაზე მოწყობილია აირების შეგროვებისა და გადამუშავების სისტემები.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"> <li>● ინფრასტრუქტურული ობიექტების სირთულე, რაშიც მოიაზრება ტექნოლოგიური სირთულე, ინფრასტრუქტურის მასშტაბურობა, მიწისა და ბეტონის სამუშაოების მასშტაბურობა.</li> </ul>

- საჭირო გახდა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 პუნქტის მე-12 პუნქტის შესაბამისად გარემოსდაცვითი პროცედურების გავლა, რამაც დააყოვნა სამშენებლო სამუშაოების დაწყება.
- საჭიროა დონორი ორგანიზაციის (ბანკის) შეფასება და თანხმობა.
- ტენდერი შეწყდა მონაწილის მიერ შემოთავაზებული მაღალი ფასის გამო არსებულ ბიუჯეტთან მიმართებით.
- პროექტი დამოკიდებულია „კომისიის“ სატარიფო პოლიტიკაზე.
- მონაცემების მოძიება პასუხისმგებელი უწყებისგან.

ამოცანა 6.4. მონაცემებზე დაფუძნებული ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება

აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორია 6.4.1 - ნარჩენების მართვის შესახებ ანგარიშების პროცენტული წილი, რომელიც ეყრდნობა მონაცემებს. 2024-2025 წლებში, ისევე როგორც 2023 წელს, ეროვნული ანგარიშების, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას ნარჩენების მართვის შესახებ, 50% ეყრდნობოდა მონაცემებს, რაც საბაზისო წელთან შედარებით წარმოადგენს პროგრესს, უტოლდება 2022 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა ჩამორჩება 2024 წლის მაჩვენებელს (70%). საბოლოო სამიზნე მაჩვენებელთან (100%-იანი წილი) მიმართებით ინდიკატორის შესრულება 50%-ია.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

- აქტივობა 6.4.1.:** ნარჩენების სექტორისთვის მონაცემების შეკრებისა და განახლების კონსოლიდირებული პროცესის ჩამოყალიბება.

### აქტივობების შესრულების მდგომარეობა

- ნარჩენების მართვის ინტეგრირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა** ნაწილობრივ შესრულდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მხოლოდ არსებული ნარჩენების მართვის ელექტრონული ბაზების გაუმჯობესება და შემუშავდა ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის ტექნიკური დავალება. ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარეობდა COWI-ის პროექტი „საქართველოში ნარჩენების მართვის შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარება“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არსებული ნარჩენების მართვის ელექტრონული ბაზების გაუმჯობესება ([wms.mepa.gov.ge](http://wms.mepa.gov.ge); [waste.mepa.gov.ge](http://waste.mepa.gov.ge)), შემუშავდა ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის ტექნიკური დავალება, მაგრამ პროექტი ასევე ითვალისწინებდა ინტეგრირებული

მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც არ განხორციელებულა. იმის გამო რომ ევროკავშირის პროექტი არ გაგრძელდა (როგორც ეს დაგეგმილი იყო), ინტეგრირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელსაც უნდა გაერთიანებინა მგვ ელექტრონული რეესტრი და ნარჩენების მართვის არსებული ელექტრონული სისტემა, არ დაწყებულა.


3. ნარჩენების შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება ნაწილობრივ შესრულდა. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში შესრულდა ნარჩენების რაოდენობის შეფასების ანგარიში, რის საფუძველზეც შემდგომში უნდა შემუშავებულიყო მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო.

გამოწვევები
<ul style="list-style-type: none"><li>• დონორის არარსებობის გამო პროექტის ვერ გაგრძელება.</li></ul>

## სატყეო სექტორი

### ამოცანა 7.1. დეგრადირებული ტყის აღდგენა

2024-2025 წლებში განხორციელდა ტყის მოვლის, აღდგენა-გაშენების ღონისძიებები 7289.1 ჰა ფართობზე. ეს მაჩვენებელი 2023 წელს იყო 1714.6 ჰა. ეს მაჩვენებელი აღემატება 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს (2090ჰა) და საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (4000 ჰა-ზე მეტი) 98.4%-ით შესრულებას ნიშნავს.



### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

1. **აქტივობა 7.1.1.:** ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება დეგრადირებული ტყის ტერიტორიაზე

აქტივობების შესრულების მდგომარეობა


**ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების 3 500 ჰა ფართობზე განხორციელება** მეტწილად განხორციელდა. 2025 წელს, ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით 3355.1 ჰა ფართობზე დაიგეგმა და განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები, მათ შორის: 1733.9 ჰა ახალ ფართობზე (გურია 25.7 ჰა; სამცხე-ჯავახეთი 124.3 ჰა; კახეთი 1571.8 ჰა; მცხეთა-მთიანეთი 12.1 ჰა) განხორციელდა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის სამუშაოები და 1621.2 ჰა ფართობზე (გურია 677 ჰა; რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი 100.6; სამცხე-ჯავახეთი 554.4 ჰა; შიდა ქართლი 31.7 ჰა; ქვემო ქართლი 77 ჰა; კახეთი 180.5 ჰა) განხორციელდა გასულ წლებში აღდგენილი ფართობების მოვლის და მიმდინარე ტყის აღდგენის პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები. აღნიშნული ფართობიდან მოვლა- აღდგენა-გაშენების სამუშაოები დასრულდა 2059.6 ჰა ფართობზე.

აჭარის სატყეო სააგენტო შუახევის სატყეო ადმინისტრაციის შუახევის სატყეოში 2025 წელს დაგეგმილი ჰქონდა 100 ჰა დეგრადირებული ფართობის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნული სატყეო-სამეურნეო ღონისძიებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 150 000 ლარს შეადგენდა. სავლელ სამუშაოები არ განხორციელებულა და შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯები არ არის გაწეული.

გამოწვევები
2024 წლამდე, სააგენტო, აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებდა საკუთარი რესურსებით და დაქირავებული მუშახელით. 2024 წლის დასაწყისში მიღებული იქნა გადაწყვეტილება მასშტაბური პროექტები განხორციელებულიყო ტენდერებით და მათი განხორციელება დაიგეგმა სახელმწიფო შესყიდვის წესით. ვინაიდან, მოვლა-აღდგენის სამუშაოები, თავისი სპეციფიკით გათვალისწინებით, არის მრავალწლიანი და ხორციელდება ყოველწლიურად წინასწარ შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით, წარმოდგენილ ანგარიშში, ინდიკატორის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელში ასახულია იმ ფართობების რაოდენობა, რომლებზეც სამუშაოები 2024 წელს- ღონისძიებების დაწყების პირველ წელს განხორციელდა.

ამოცანა 7.2. ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა

ამოცანის შედეგის ინდიკატორმა **7.2.1. მდგრადი მართვის პრინციპებით მართული ტყის ფართობმა ჰექტარში, 2024-2025 წლებში, შეადგინა 356, 840 ჰა-ს, რომელიც აღემატება 2024 წლის საშუალოვადიან სამიზნე მაჩვენებელს (300,000ჰა), ხოლო საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის 79.3%-ს შეადგენს.** სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის 48.9 % ფართობზე, სადაც შემუშავებულია/შემუშავდება ტყის მართვის გეგმები სულ - 19 სატყეო უბნისთვის. დამტკიცებული ტყის მართვის გეგმები აქვს 9 სატყეო უბანზე (356 840 ჰა): 1. ბორჯომ-ბაკურიანი -45896 ჰა; 2. ხარაგაული - 46408 ჰა; 3. ასპინძა-ახალქალაქი - 20686 ჰა; 4. ახალციხე - 33042 ჰა; 5. ლანჩხუთი - 11325 ჰა; 6. ჩოხატაური - 44063 ჰა; 7. ლაგოდეხი - 21116 ჰა; 8. ახმეტა -54 954 ჰა; 9. ლენტეხი სატყეო უბანი - 7935



## აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

1. **აქტივობა 7.2.1:** ტყის ინვენტარიზაცია და ტყის მართვის გეგმების შემუშავება.
2. **აქტივობა 7.2.2.:** ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა.
3. **აქტივობა 7.2.3.:** ტყის პათოლოგიური მონიტორინგის სისტემის დანერგვა.
4. **აქტივობა 7.2.4.:** ტყის ხანძარსაწინააღმდეგო პრევენცია და მართვის გაუმჯობესება.
5. **აქტივობა 7.2.5.:** ტყის მრავალმიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა ეკოტურიზმის განვითარების გეგმების შემუშავების გზით.
6. **აქტივობა 7.2.6.:** დამტკიცებული ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული საქართველოს ტყის ტერიტორიაზე ზურმუხტის ქსელის მართვის გეგმების მომზადება.
7. **აქტივობა 7.2.7.:** დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება.

აქტივობების შესრულების მდგომარეობა

1. **ტყის ინვენტარიზაცია 5 სატყეო უბნის ტერიტორიაზე** მეტწილად შესრულდა. CF/GIZ საგრანტო სახსრებით განხორციელდა თიანეთის (40924 ჰა) II ეტაპით გათვალისწინებული ტყეთმორწყობის სავლე სამუშაოების 25680 ჰა ფართობზე. სააგენტოს საბიუჯეტო და საკუთარი სახსრებით განხორციელდა ონის სატყეო უბნის (57417 ჰა) მესამე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები.
2. **5 სატყეო უბნისთვის (მუნიციპალიტეტისთვის) ტყის მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება** მეტწილად შესრულდა. ტყის მართვის ჯერ გეგმები არ დამტკიცებულა. ყვარელის, ცაგერის და თელავის სატყეო უბნებისთვის სამუშაოების 75% დასრულებულია. ონის სატყეო უბნისთვის სამივე ეტაპი დასრულებულია. მართვის გეგმები შემუშავებულია, თუმცა არ არის დამტკიცებული. მიმდინარეა თიანეთის ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები.
3. **ტყის მონიტორინგის და საინფორმაციო სისტემის სამი მოდულის შემუშავება** - განხორციელდა. შემუშავებულია ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის სამი მოდული. შემუშავდა მერქნული რესურსის მოძრაობის ელექტრონული სისტემა და ეს მოდული ფუნქციონირებს, ასევე შემუშავებულია სავლე ინსპექტირების აქტის შემდგენი მოდული, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს. ასევე, სატესტო რეჟიმში მუშაობს ტყის ინვენტარიზაციის მოდული, შემუშავებულია ტყითსარგებლობისა და ტყის მოვლა-აღდგენის მოდულები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამის ტესტირება.
4. მეტწილად შესრულდა ინდიკატორი - **2026 წლისთვის მუდმივი სანიმუშო ფართობები აღებულია 42 სატყეო უბნის ტერიტორიაზე**. მეტწილად შესრულდა. ტყის მავნებლებისა და დაავადებების მართვისათვის, ადრეულ ეტაპზე მათი აღმოჩენისა და ტყის დეგრადაციის თავიდან აცილების/შერბილების მიზნით, მუდმივი სანიმუშო ფართობები შეიქმნა შემდეგ რეგიონებსა და სატყეო უბნებში: შიდა ქართლის რეგიონი: კასპის სატყეო უბანი ხაშურის სატყეო უბანი ქვემო ქართლის რეგიონი: ბოლნისი/დმანისის სატყეო უბანი წალკა/თეთრიწყაროს სატყეო უბანი სამცხე-ჯავახეთის რეგიონი: ახალციხის სატყეო უბანი ბორჯომის სატყეო უბანი აბასთუმან-ახალქალაქის სატყეო უბანი ადიგენის სატყეო უბანი ბაკურიანის სატყეო უბანი იმერეთის რეგიონი: ტყიბულის სატყეო უბანი ზესტაფონის სატყეო უბანი ხონი-წყალტუბოს სატყეო უბანი სამეგრელოს რეგიონი: სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო უბანი მცხეთა-მთიანეთის რეგიონი: ფასანაურის სატყეო უბანი მცხეთის სატყეო უბანი კახეთის რეგიონი: საგარეჯოს სატყეო უბანი ყვარლის სატყეო უბანი ახმეტის სატყეო უბანი გურიის რეგიონი: ჩოხატაურის სატყეო უბანი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი: ცაგერის სატყეო უბანი ონის სატყეო უბანი ამბროლაურის სატყეო უბანი ლენტეხის სატყეო უბანი. 2022 წლიდან 2025- წლის ჩათვლით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ჯამში 100 სანიმუშო ფართობია აღებული. ლენტეხის სატყეო უბანი. 2022 წლიდან 2024 წლამდე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ჯამში 108 სანიმუშო ფართობია აღებული.
5. **42 სატყეო უბნისათვის ტყის ხანძრების მართვის გეგმის შემუშავება** განხორციელდა. 2023 წლიდან საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობს ტყის ხანძრების მართვის გეგმის შემუშავების პროცესი. ქვემოთ მოცემულია რეგიონებისა და მათში შემავალი სატყეო უბნების ჩამონათვალი: შიდა ქართლის რეგიონი: ხაშურის სატყეო უბანი; ქარელის სატყეო უბანი; კასპის სატყეო უბანი; გორის სატყეო უბანი; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი: ხაიშის სატყეო უბანი; წალენჯიხის სატყეო უბანი; ჩხოროწყუს სატყეო უბანი; მესტიის სატყეო უბანი; მარტვილის სატყეო უბანი; კოლხეთის სატყეო უბანი; ქვემო ქართლის რეგიონი: წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბანი; გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბანი; ბოლნისი-დმანისის სატყეო უბანი; სამცხე-ჯავახეთის რეგიონი: ბორჯომის სატყეო უბანი;


ბაკურიანის სატყეო უბანი; ახალციხის სატყეო უბანი; ასპინძა-ახალქალაქის სატყეო უბანი; ადიგენის სატყეო უბანი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი: ცაგერის სატყეო უბანი; ონის სატყეო უბანი; ლენტეხის სატყეო უბანი; ამბროლაურის სატყეო უბანი; იმერეთის რეგიონი: ხონი-წყალტუბოს სატყეო უბანი; ხარაგაულის სატყეო უბანი; ჭიათურის სატყეო უბანი; ტყიბულის სატყეო უბანი; საჩხერის სატყეო უბანი; ზესტაფონის სატყეო უბანი; ვანი-ბაღდათის სატყეო უბანი; გურიის რეგიონი: ჩოხატაურის სატყეო უბანი; ოზურგეთის სატყეო უბანი; ლანჩხუთის სატყეო უბანი; მცხეთა-მთიანეთის რეგიონი: ფასანაურის სატყეო უბანი, თიანეთის სატყეო უბანი, ბარისახოს სატყეო უბანი; მცხეთის სატყეო უბანი; კახეთის რეგიონი: ყვარლის სატყეო უბანი; საგარეჯოს სატყეო უბანი; ლაგოდეხი-დედოფლისწყაროს სატყეო უბანი; თელავის სატყეო უბანი; გურჯაანის სატყეო უბანი; ახმეტის სატყეო უბანი.

6. **სამი მუნიციპალიტეტისთვის ეკოტურიზმის განვითარების გეგმის შემუშავება და გამოქვეყნება** არ დაწყებულა. მცხეთის, ლანჩხუთის და თიანეთის მუნიციპალიტეტებში ეკოტურიზმის განვითარების გეგმები არ შემუშავებულა.
7. **2026 წლისთვის ზურმუხტის ქსელის ტყის ტერიტორიის მინიმუმ 248 186 ჰა-ზე ზურმუხტის ქსელის მართვის გეგმების შემუშავება** სრულად განხორციელდა. 10 მართვის გეგმის შესამუშავებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს (10x40000 ლარი). 3 მართვის გეგმა მომზადებულია "საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების გარემოსდაცვითი დებულებების განხორციელების მხარდაჭერა" პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით (ბიუჯეტი € 885,437). ერთი მართვის გეგმა შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ განხორციელებული პროგრამის - ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (IBIS) ფარგლებში“. 2023 წელს შემუშავდა 4 მართვის გეგმა, შვედეთის სამეფოს ფინანსური მხარდაჭერით. 2024 წელს კი ამავე დონორის მხარდაჭერით, პროექტი " გადავარჩინოთ ბუნება- საქართველო"-ს ფარგლებში მუშავდება 9 მართვის გეგმა. 2024 წელს წარმოდგენილ იქნა 5 სამუშაო ვერსია.
8. **სამი კანონპროექტის მომზადება გურიის ეროვნული პარკის, სამეგრელოს ეროვნული პარკის და ზემო სვანეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ** ნაწილობრივ შესრულდა. მომზადდა 1 (გურიის ეროვნული პარკის) კანონპროექტი. 2 კანონპროექტი (სვანეთისა და სამეგრელოს ეროვნული პარკების) არ არის მომზადებული.

<b>გამოწვევები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>● გამოწვევას წარმოადგენს თიანეთის სატყეო უბნის მართვის გეგმის შემუშავების პროცესი, ვინაიდან ჯერ არ დაწყებულა სამუშაოები.</li> <li>● ბიუროკრატიული საკითხების შეთანხმება. დაინტერესებული მხარეების ნაკლები ჩართულობა. სამუშაოების სირთულე.</li> <li>● მართვის გეგმების დამტკიცება დამოკიდებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის დამტკიცებაზე პარლამენტის მიერ.</li> <li>● მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების მიმართ, რაც გამოწვეულია ახალი შეზღუდვების პოტენციურ რისკებთან.</li> </ul>


ამოცანა 7.3. კლიმატის ცვლილების გამოწვევებისადმი ადეკვატური ტყის მართვის სისტემის განვითარება

ამოცანის შედეგის ინდიკატორებია: 7.3.1 - სატყეო საკითხებთან დაკავშირებული უწყებათშორისი კოორდინაციის გზით შექმნილი და სექტორთაშორისი პროექტების რაოდენობა. 7.3.2 - დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების პროცენტული წილი, რომელშიც ინტეგრირებულია კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები, და 7.3.3 - ტყის მდგრადი მართვის გეგმების რაოდენობა, რომელიც გენდერულად სენსიტიურია. **პირველი ინდიკატორის მაჩვენებელი 2025 წელს იყო 20, რაც ჩამორჩება 2024 წლის სამიზნე საშუალოვადიან მაჩვენებელს (25) და შეადგენს საბოლოო სამიზნე მაჩვენებლის (30-ზე მეტი პროექტი) 66.7%-ს.**




2021 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის (GIZ) ხელი მოეწერა ხელშეკრულება-„შეთანხმება განხორციელების შესახებ“, დოკუმენტს, რომლითაც პროექტი ოფიციალურად შევიდა განხორციელების აქტიურ ფაზაში. ასევე მიმდინარეობს ტყის მრავალფუნქციური გამოყენებისა და ტყის მდგრადი მართვასთან დაკავშირებით სხვადასხვა პროექტები, ასევე, 2022 წლის განმავლობაში სატყეო სექტორში განხორციელდა 8 ისეთი პროექტები, სადაც შეთანხმების პროცესში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა უწყებები, ასევე განხორციელდა მრავალი პროექტი სადაც მცირედით, მაგრამ ჩართულები არიან სხვადასხვა უწყებები. 2023 წლის განმავლობაში სექტორში მიმდინარეობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი. კლიმატის მწვანე ფონდის 7 წლიანი პროგრამა "ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა", რომლის განხორციელების პროცესში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროა ჩართული. ასევე შვედეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით 2022 წლიდან მიმდინარეობს პროექტი "გადავარჩინოთ ბუნება საქართველო", რომელიც მოიცავს მრავალ კომპონენტს და აქტიურად არიან ჩართული სხვა უწყებები.



რაც შეეხება ამოცანის შედეგის ინდიკატორს 7.3.2 - დაცული ტერიტორიების მართვის გეგმების პროცენტული წილი, რომელშიც ინტეგრირებულია კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებები, **შესრულების მაჩვენებელი გახდა 100% (2023 წელს იყო 42%), გადააჭარბა საანგარიშო წლის საშუალოვადიან სამიზნეს და მიაღწია საბოლოო სამიზნე მაჩვენებელს.** კერძოდ, შემუშავებული 17 მენეჯმენტის გეგმიდან, რომელშიც ინტეგრირებულია კლიმატის მართვის საკითხები, 10 დამტკიცებულია, ხოლო 7 მენეჯმენტის გეგმისთვის მიმდინარეობს დამტკიცების პროცედურები. ბოლო 3 წლის განმავლობაში დამტკიცდა 3 ახალი მენეჯმენტის გეგმა.



**მესამე ინდიკატორი დარჩა ნულოვან ნიშნულზე.** 2021 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას შორის (GIZ) ხელი მოეწერა ხელშეკრულება-„შეთანხმება განხორციელების შესახებ“, დოკუმენტს, რომლითაც პროექტი ოფიციალურად შევიდა განხორციელების აქტიურ ფაზაში. ზემოაღნიშნული პროექტი ითვალისწინებს არსებული მართვის გეგმების გადახედვასა და განახლებას, ასევე ახალი მართვის გეგმების მომზადებას გენდერული საკითხების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესი მიმდინარეა.

#### აქტივობები

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობა:

**აქტივობა 7.3.1:** ეროვნული სატყეო პროგრამის ინსტიტუციონალიზაცია

**აქტივობა 7.3.2:** ტყის მართვის გეგმებში გენდერთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება.

## აქტივობების შესრულების მდგომარეობა

- 1. 2025 წლის ბოლომდე ეროვნული სატყეო პროგრამის სულ მცირე 4 შეხვედრის ჩატარების** ინდიკატორი სრულად შესრულდა. 2024-2025 წლებში ეროვნული სატყეო პროგრამის 5 შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესი 2024 წლის საქართველოს ჭალის ტყე I სამუშაო შეხვედრა ეხებოდა საქართველოს ჭალის ტყეების მდგომარეობის განხილვას და მათთან დაკავშირებული უახლესი კვლევების შედეგების წარდგენას. ეროვნული სატყეო პროგრამის 2024 წლის II სამუშაო შეხვედრა ეხებოდა საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის განვითარების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყის კოდექსი ითვალისწინებს ტყეების სამი ფორმის საკუთრებას (სახელმწიფო, მუნიციპალური და კერძო), ამჟამად ყველა ტყე სახელმწიფო საკუთრებაშია. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო განეხილათ ის მნიშვნელოვანი სამუშაოები და დოკუმენტები, რომლებიც მომზადდა მუნიციპალიტეტებისთვის ტყის მართვის უფლებამოსილების გადაცემის პროცესის მხარდასაჭერად. საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის 2024 წელი ალტერნატიული საწვავი III შეხვედრა ეხებოდა საქართველოში შეშის მოხმარების ალტერნატიული გზების განვითარებას და ტყის რესურსების დაცვას. კონკრეტულად, განიხილებოდა პროექტ ECO.Georgia-ს ფარგლებში განხორციელებული ინიციატივები, რომელთა მიზანია ტყეზე ზეწოლის შემცირება და მყარი ალტერნატიული საწვავის წარმოება-გამოყენების ხელშეწყობა. IV შეხვედრის ფარგლებში განიხილეს ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ტერიტორიაზე, ასევე აჭარისა და დაცული ტერიტორიების ტყეებში გავრცელებული ტყის მავნებელ-დაავადებათა მახასიათებლები. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა წაბლის მეგალესა და მუნის ბაღლინჯოს მიერ გამოწვეულ დაავადებებზე. გამოიკვეთა საკითხები, რომელთა დაძლევისთვის ტყის მართვის ორგანოების მიერ შემუშავებულია რეაგირების მეთოდები და პრევენციის ღონისძიებები.
- 2. შემუშავებულია მეთოდური მითითებები ტყის მართვის გეგმებში გენდერის საკითხების ინტეგრირების მიზნით.** ECO.Georgia პროექტის ფარგლებში დაქირავებულმა გენდერულმა ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები გენდერულად მგრძნობიარე ტყის მართვის პროცესისთვის. რეკომენდაციები მიზნად ისახავდა IPPA-ს (გაუმჯობესებული საზოგადოებრივი მონაწილეობის მიდგომა), როგორც მექანიზმს ტყის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, მათ შორის ტყის ეკოსისტემური სერვისების დარუკების პროცესის გენდერულად მგრძნობიარე გზით ჩატარებას. ზემოაღნიშნული რეკომენდაციები გამოიყენება ტყესთან დაკავშირებულ კონსულტაციებში ECO.Georgia-ს ყველა 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში. პროცესი გაგრძელდება პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- 3. ინდიკატორი 2025 წლის ბოლომდე 8 ტყის მართვის გეგმა გენდერულად სენსიტიურია** არ დაწყებულა. შემუშავების პროცესშია მეთოდური მითითებები, ტყის მართვის გეგმებში გენდერის საკითხების ინტეგრირების მიზნით, ვინაიდან პროცესი ჯერ არ დასრულებული, აღნიშნული ინდიკატორის შესრულება შეფერხდა.

## გამოწვევები და რეკომენდაციები

### ზოგადი გამოწვევები

2024 წელს სამოქმედო გეგმის განხორციელებისას გამოკვეთილი ძირითადი გამოწვევები:

1. აქტივობების დიდი ნაწილის არდაწყება.
2. დონორი ორგანიზაციების ნაკლებობა ან/და დონორული პროექტების შეწყვეტა.
3. ინდიკატორებზე მონაცემების ნაკლებობის ტენდენციის გაგრძელება.
4. მუნიციპალიტეტებისაგან მონაცემების მოწოდების მხრივ თანამშრომლობის ნაკლებობა.
5. ინვესტორების ხშირი ცვლილება, მათი გეგმების ცვლილება.

### რეკომენდაციები

- ტრანსპორტის სექტორში, დაიხვეწოს მეთოდოლოგია და ჩატარდეს მობილობის ყოველწლიური გამოკვლევები.
- შენობების სექტორში, გაგრძელდეს ენერგოეფექტურობაზე სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა, მაგრამ დაჩქარდეს მისი მიღება; მოხდეს სექტორის მომზადება, ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება.
- ენერჯის გენერაციის და ნარჩენების მართვის სფეროში სანებართვო პროცედურების შექმნისდაგვარად მაქსიმალურად დაჩქარება.
- სოფლის მეურნეობის სფეროში კვლევების შედეგების რელევანტურობისათვის კვლევის ვადის გაზრდა.
- ნარჩენების სექტორში, სასურველია სამინისტროს მხრიდან ყოველ წლიურად მოხდეს ინფორმაციის გამოთხოვა მუნიციპალიტეტებიდან.
- სატყეო სექტორში, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების გაგრძელება ადგილობრივ თვითმმართველობებთან და მოსახლეობასთან.

- შენობების სფეროში, დაგეგმილი საინფორმაციო კამპანიების და საზოგადოებრივი აზრის კვლევის განხორციელება გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის რესურსებით.
- ყველა სექტორში ახალი დონორების მოძიების ან სახელმწიფო რესურსებით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

#### დანართი 1

### 2025 წლის კონსოლიდირებული სტატუს ანგარიში